

ბათუმის უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №12.3. იანვარი, თებერვალი, მარტი, 2012.

ონისე სურმანიძე – 70



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული მათემატიკური სკოლა ულოცავს დაბადებიდან სამოცდაათე წელს მათემატიკის ღვანლმოსილ მკვლევარს პროფ. ო. სურმანიძეს და უსურვებს მას ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, წარმატებასა და კეთილდღეობას თავის შესანიშნავ ოჯახთან ერთად.

გვ. 4

შოთა ჯოიძე – 70



დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, მეშვე აბაშიძისა და გიორგი ლეონიძის პრემიების ლაურეატს შოთა ჯოიძეს.

საქართველოს მწერალთა კავშირი, მეგობარი მწერლები, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწეები, სიყვარულით ულოცავენ პოეტს ღირსსასწავარ თაირის და უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს და ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

გვ. 6

გურამ ჩაბანავა – 70



70 წელი არაა მაინცდამაინც დიდი ასაკი, მაგრამ არც მცირეა. ბატონ გურამთან მიმართებაში კი ეს ასაკი ნამდვილად გადაჭარბებულად აღიქმება. 70 წლის იუბილარი დღესაც ახალგაზრდულად, მხნედ და შემართულად გამოიყურება. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

გვ. 7

იუსტიციის სამინისტროს ჩაშორება და სიახლეები



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს უწყებში განხორციელებული რეფორმები და სიახლეები გააცნეს. სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა ოთარ კახაძემ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის ხედვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და სამოქალაქო აქტიურობის განვითარებასთან დაკავშირებით. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომავალ იურისტებს შესაძლებლობა მიეცათ შეეფასებინათ იუსტიციის სახლის მუშაობა და სამინისტროში დანერგილი ცვლილებები.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სანტალური რეაქციის ლაბორატორიის წარმომადგენლის ვიზიტი



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ალიოზა ბაკურიძეს, სამეცნიერო ცენტრის მკვლევარებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდნენ. სამეცნიერო ცენტრის მიმართულებების ხელმძღვანელებმა სტუმრებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები წარუდგინეს. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე განისაზღვრა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები, დაიგეგმა ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და ერთობლივი პროექტების განხორციელება. რუს-ს დოქტორანტებს ცენტრის ბაზაზე ტრენინგები და სასწავლო კურსები ჩაუტარდებათ. უახლესი აპარატურითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქართულ-ამერიკული ლაბორატორია ერთადერთია კავკასიაში და მიზნად ისახავს რეგიონში საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებასა და ინფექციური დაავადებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის დირექტორი ანა ჟვანია და ამერიკის ვოლტერ რიდის საჯარისო კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი არტურ ლიონსი

ჩაქტორის უხვადკა სტუდენტთან



შეხვედრა და სასწავლო წლის სიახლეებთან ერთად სამომავლო გეგმები გააცნო. ცვლილებებია სტიპენდიების დანიშვნისა და სწავლის საფასურის გადახდის წესში. იგეგმება საეტაპო გამოცდების ჩატარება და რუს-ს მათერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. რექტორმა ყურადღება გაამახვილა ასევე უცხოეთის გაცვლით პროგრამებზე, სტუდენტურ ცხოვრებასა და სტუდენტთა დასაქმების პროგრამაზე. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და პროფესორმა ალიოზა ბაკურიძემ ახალგაზრდების აქტიურ შექცევებს უპასუხა. განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდეგ რექტორი ეტაპობრივად ყველა ფაკულტეტის სტუდენტს შეხვდება.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოზა ბაკურიძე ტრადიციულად სტუდენტებს

ღია კარის დღეები - 2012

ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ფოთის, ზუგდიდის კერძო და საჯარო სკოლების მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ღია კარის დღე გამართეს. მომავალ სტუდენტებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამები, პირობები, ისტორია, სწავლების პირობები, გაცვლითი პროგრამები, სტიპენდიები, სოციალური პროგრამები და სიახლეები წარუდგინეს. აბიტურიენტებს



უმაღლესი სასწავლებლის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად ბუკლეტები დაურიგეს.

საქველმოქმედო კონცერტი სოხიალურად დაუხვარი სტუდენტებისთვის



წვერი სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად სააქტო დარბაზში ტრადიციული საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. საქველმოქმედო საღამო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრის, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ხელშეწყობით ჩატარდა. ღონისძიებაში უმაღლესი სასწავლებელთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ტბეთი, მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები „კარიკატურა“, ვაჟთა ფოლკლორული და გოგონათა ვოკალური ანსამბლები მონაწილეობდნენ.

სოციალურად დაუცველი, ობოლი, დევნილი, მრავალშვილიანი ოჯახის

მემორანდუმი აჭარის ა.რ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან

თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აჭარის ა.რ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს შორის. მემორანდუმი ხელს შეუწყობს კულტურის, განათლებისა და სპორტის მიმართულებით ერთობლივი პროგრამებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელებას. ხელშეკრულების ფარგლებში სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ კინოტურ „აპოლოს“ ბილეთები 50-პროცენტიანი ფასდაკლებით შეიძინონ. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პარტნიორი ორგანიზაციებისათვის



განთავსდება საინფორმაციო ელექტრონული სტენდი.

დადის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე



მკვირვასო ქალბატონებო, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, ადმინისტრაცია, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები გილოცავენ 3 მარტს - დედის დღესა და 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიკეთეს და წარმატებებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობაში.



ილიას უნივერსიტეტთან ერთად სადოქტორო პროგრამები განხორციელდება



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა

ალიოშა ბაკურიძემ და ილიას უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიგი თევზაძემ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განხორციელებას მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის გავლის შემდეგ ამოქმედდება და კურსდამთავრებულებს აკადემიური დოქტორის ორმაგი ხარისხი მიენიჭებათ. მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება და სამეცნიერო კვლევა-ძიების წარმოება.

უნივერსიტეტის ფელაგაზია ნოკვაიის ტელეკამის უნივერსიტეტს უწვია

ნორვეგიის ტელეკამის უნივერსიტეტს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი როსტომ ბერიძე და სამეცნიერო ცენტრის დირექტორი ემზარ ძირკვაძე ეწვივნენ. ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს სამწლიანი პროექტის - ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სფეროში განათლების პროგრამის განხორციელებას. პროექტის ეგიდით ამოქმედდება ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები, ინოვაციებისა და სამეცნიერო სწავლების სფეროში შემუშავდება კურსულუმი, ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის განხორციელ-



დება გაცვლითი პროგრამები. დელეგაცია მასპინძელი უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ნორვეგიის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო. **აპრილი 3 წარჩინებული სტუდენტი ერთლიან სასწავლო კურსს ნორვეგიის ტელეკამის უნივერსიტეტში გაივლის.**

ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების მეთორმეტე კლასელებისათვის ღია კარის დღე ჩატარდა



რსუ-ს სააქტო დარბაზში ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების მეთორმეტე კლასელებისათვის ღია კარის დღე ჩატარდა. მომავალ სტუდენტებს მიესალმა და წარმატებები უსურვა რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აბიტურიენტებს სტუდენტებმა დაავით ბენდილიანმა და სოფო უმეთაძემ წარუდგინეს. ახალგაზრდებმა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამებზე, საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე, უცხოეთში სწავლების პირობებზე, სტიპენდიებსა და სოციალურ პროგრამებზე ისაუბრეს. აბიტურიენტებთან შეხვედრა კონცერტით დასრულდა, რომელშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ტბეთი“, მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები „კარიკატურა“, ვაჟთა ფოლკლორული, გოგონათა

ვოკალური და თანამედროვე ცეკვების ანსამბლი „M-style 13“ მონაწილეობდნენ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი სახის სტიპენდიები და სოციალური პროგრამები:
1. 1-ლი კურსის სტუდენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციისას პირველ რიგში მიუთითებენ რსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს/სპეციალობას და მე-4 არჩევით საგანში ექვნებათ მაღალი ქულა, ენიშნებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით;
2. პირველად, სწავლების მეორე სასწავლო წლიდან უწყვეტი კარგისათვის, 81 ქულის მქონე სტუდენტები მიიღებენ 50-ლარიან სტიპენდიას, ხოლო წარჩინებული, 91 და მეტი ქულის მქონე სტუდენტები - 100-ლარიან სტიპენდიას;
3. წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთაც აქვთ წარმატებები სამეცნიერო მუშაობაში, კონკურსის საფუძველზე ენიშნებათ სახელობითი სტიპენდია 150 ლარის ოდენობით;
4. სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ სტუდენტებს, კონკურსის საფუძველზე ენიშნებათ ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია 312 ლარის ოდენობით;
5. დედ-მამით ობოლი სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან;
6. სოციალურად დაუცველი კარგი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ღებულობენ თანადაფინანსებას სწავლის გადასახადისათვის.

წიდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღე



აბიტურიენტთა მოზიდვის პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტში წიდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში გაიმართა. შეჯიბრებაში ბათუმის 28 საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები

მონაწილეობდნენ. პირველობა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის გუნდმა „მიუნვდომელმა“ მოიპოვა, მეორე - რ. შახინის მეგობრობის ლიცეუმის გუნდს „მნიგნობარს“ ერგო, მესამე კი - №9 საჯარო სკოლის გუნდმა „მამულიშვილმა“ დაიკავა. ორგანიზატორებმა ყველა მონაწილეს სერტიფიკატი და გამარჯვებულ გუნდებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ დაწესებული პრიზები გადასცეს, ხოლო პროექტის მხარდამჭერმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა - ზამთრის კურორტ გომარდულის საგზურით დააჯილდოვა. ინტელექტუალური თამაში ყოველწლიურად რსუ-ს სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურისა და სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით იმართება.

91 წელი საჭოთა ოკუპაციიდან



საჭოთა ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტისა და სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით

სამეცნიერო სესია გაიმართა. პროფესორ-მასწავლებლებმა მოხსენებები წარმოადგინეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც: 1921 წლის 25 თებერვალი, 1921 წლის თებერვალი და საერთაშორისო საზოგადოებრიობა და 1921 წლის 25 თებერვალი ქართულ მწერლობაში. განიხილეს იმ დროისათვის საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ანექსიის გამოწვევი მიზეზები და კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს 1921 წლის 25 თებერვალს სამშობლოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა სსოვნას. სამეცნიერო სესია ოკუპაციის ამ-სახელი ფოტო-კოლაჟითა და ინტელექტუალური თამაშით დასრულდა, რომელშიც ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. გამარჯვებულ გუნდებს სერტიფიკატები და სამასხოვრო საჩუქრები გადასცეს.

უნივერსიტეტის სტუდენტთა

კონსტიტუციონალური კვლევის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი და აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პეტრე ზამბახიძე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვედნენ. შოთა რუსთაველის დარბაზში გამართული შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ოთხი წლისთავს მიეძღვნა და მიზნად ისახავდა საკანონმდებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებისა და ბოლო რამდენიმე წლის



განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შეფასებას.

გეოგრაფიული მუგლას უნივერსიტეტთან



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მუგლას (თურქეთი)

უნივერსიტეტს შორის მემორანდუმში გაფორმდა. ხელშეკრულების ფარგლებში დაიგეგმა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო პროექტების განხორციელება, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების ამოქმედება. მემორანდუმში ასევე ითვალისწინებს კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას, გამოცდილების გაზიარებასა და პარტნიორი უნივერსიტეტის ბაზაზე სტუდენტების პრაქტიკის გავლას. მაისიდან ტურიზმის ფაკულტეტის 10 სტუდენტი პარტნიორ უნივერსიტეტში სამთვინიანი სტაჟირების პროგრამით გაემგზავრება.

განათლების საერთაშორისო გაოფენა 2012

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საგამოფენო ცენტრ ექსპოზორჯიაში გამართულ განათლების საერთაშორისო გაოფენა 2012 - ში მიიღო მონაწილეობა. რსუ-ს სტუდენტებმა და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ინგა შამილიშვილმა ყველა დაინტერესებულ პირს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამები, სწავლების პირობები, სტუდენტური ცხოვრება, გაცვლითი და სოციალური პროგრამები გააცნეს. დაიგეგმა თანამშრომლობის დამყარება საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლებთან, ერთობლივი პროექტების განხორციელება და სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლებთან სტაჟირება. განათლების კვირეული 23 თებერვალს გაიხსნა და მასში საქართველოს 81 საგანმანათლებლო დაწესებულების, 13 უცხოური უნივერსიტეტის, კოლეჯისა



და უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამები იყო წარმოდგენილი. განათლების საერთაშორისო გაოფენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თბილისის მედიის ორგანიზებით გაიმართა.

უნივერსიტეტს ჩინეთის დელეგაცია ეწვია

ჩინური კულტურის დღეების ეგიდით რსუ-ს ჩინეთის დელეგაცია ეწვია. ლანჯოუს უნივერსიტეტისა და საქართველოში ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლები აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრს გია აბულაძეს, შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ალიოშა ბაკურიძეს, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორს, პროფესორ ნიკოლოზ ნიკლაურსა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ერ-



მილე მესხიას შეხვედნენ. ლანჯოუს უნივერსიტეტის პროფესორმა ჯინგ თაომ და უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა თანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე, მიმართულებებზე და ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების განხორციელების პირობებზე ისაუბრეს.

ტურიზმის ფაკულტეტი - მიღწევა და სამოქმედო გეგმა



უნივერსიტეტთან ერთად სხვა ერთობლივი პროექტების განხორციელება. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ ჩვენთან საუბრისას როგორც აღნიშნა, თანამშრომლობა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაფორმებული მემორანდუმით არ შემოიფარგლება, ხელშეწყობა დაიჭირა რეგიონებს შორის. იგეგმება ქალაქების - ბათუმისა და ბიოს და რეგიონების - აჭარისა და ტელეფონის დამშობილება.

ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც აჭარის მთავრობისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისხმევით ტურიზმის ფაკულტეტი შეიქმნა. გადამწყვეტილების მიღება რეგიონის განვითარების სტრატეგიულმა გეგმამ და ტურიზმის პოტენციალის გაზრდის აუცილებლობამ განაპირობა. იმთავითვე ცხადი იყო ახლადშექმნილი ფაკულტეტის მიზანი — ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და ტურიზმის დარგისათვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება. შემუშავდა და დაინერგა თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, სწავლება დაიწყო თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ლექციების წასაკითხად ადგილობრივ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად უცხოელი ლექტორები და ექსპერტები მოიწვიეს. გარდა ამისა, ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ინტენსიურად დაიწყო მუშაობა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გასაღრმავლებლად.

საქართველოსა და ნორვეგიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის დაწყებულ თანამშრომლობას არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი მიეკუთვნება. სამომავლო გეგმებზე, ვიზიტის მნიშვნელობაზე, შედეგებზე, ერთობლივ პროგრამასა და ფაკულტეტის სხვა აქტუალურ საკითხებზე დეკანმა, პროფესორმა როსტომ ბერიძემ გვესაუბრა.

- ბატონო როსტომ, კონკრეტულად რას ითვალისწინებს პროგრამა „ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სფეროში განათლება“?

- ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების გაცვლითი პროგრამა, პროფესორ-მასწავლებლების სტაჟირება, ტურისტული ბაზრის კვლევის მეთოდების შესწავლის მიზნით მარკეტინგული კვლევა ნორვეგიის მაგალითზე, „ტურიზმის“ საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფა, ეკოტურიზმის პრაქტიკული სწავლებისათვის მტირალას ეროვნული პარკის ბაზაზე „ეკოტურიზმის სასწავლო ცენტრის“ შექმნა, 2012 წლის ივნისში საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმის მდგრადი განვითარება და ინოვაციები“ ორგანიზება და ნორვეგიელი პროფესორების მიწვევა - ეს სამწლიანი პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ჩამონათვალია.

სამი წლის განმავლობაში ტელეფონის უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტის 9 სტუდენტი გაივლია ერთწლიან სასწავლო პროგრამას ტურიზმში და 6 პროფესორ-მასწავლებელი ჩაერთო ტურისტული პროგრამაში. დაახლოებით 8 დისციპლინაში ლექციებს წაიკითხავენ ტელეფონის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. ჩვენთან მივლენილი სტუდენტები და ლექტორები უფასოდ ისწავლიან და უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, საცხოვრებელი. შეგვიპირდნენ, რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების მიზნით, ახალგაზრდები ტურიზმის სფეროში გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმდებიან და დამატებით ანაზღაურებასაც მიიღებენ.

პროექტი ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და მათი დახმარებით ტურისტული

პოტენციალის გაზრდას. ტელეფონის უნივერსიტეტში სტაჟირება გავლილი პროფესორ-მასწავლებლები ხელს შეუწყობენ საგანმანათლებლო პროგრამები კიდევ უფრო საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში. ეს კიდევ ადამიანური რესურსების უზრუნველყოფის კარგი საშუალებაა. ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება ერთობ ნარმატიული პროექტი.

- გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს როგორ და რა პრინციპით შეარჩევთ?

- უკვე ვინცერთ მათ შერჩევას გარკვეული კრიტერიუმებით. ტესტირებას გაივლიან ინგლისურ ენასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებში. ვინც პირველ ათეულში მოხვდება, გაივლის ტრენინგს, რომელსაც აპრილში ჩაატარებენ ნორვეგიის ტელეფონის უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორები და ისინი შეარჩევენ სამ მონაწილეს, რომლებიც 15 აგვისტოდან ერთი წლით სწავლას განაგრძობენ ტელეფონის უნივერსიტეტში ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალობაზე.



- რას გვეტყვით კვლევებთან დაკავშირებით?

- იგეგმება ეკოტურიზმის პრაქტიკული სწავლებისათვის „ეკოტურიზმის სასწავლო ცენტრის“ შექმნა. ნორვეგიის მრავალი უნივერსიტეტი, განსაკუთრებით ჩვენი პარტნიორი უნივერსიტეტი გეგმავს ზაფხულში მონაწილე ეკოტურიზმის საზაფხულო სკოლა. სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას ეკოტურიზმში. ტურიზმის პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით პროექტი ითვალისწინებს ნორვეგიის ტურისტული ბაზრის მარკეტინგულ კვლევას, შემუშავდება მეთოდური მიდგომები, შემდგომ ეს შეიძლება გამოიყენოს საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში, რათა მრავალი ტურისტის მოზიდვა შეეძლოს.

ასე რომ, მთლიანობაში ჩვენი მიზანი არის ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, ნორვეგიელი ტურისტების მოზიდვა. ერთანხმებისამებრ, ნორვეგიაში ჩატარდება ერთობლივი კვლევა იმის შესახებ ნორვეგიაში მოსახლეობას რა ინტერესებს, ტურიზმის რომელი სფერო იზიდავს. გარდა ამისა, დეტალურ ინფორმაციას მივაწოდებთ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობების შესახებ.

- ბატონო როსტომ, პროგრამას ვინ ახორციელებს?

- ვიდრე ამ შეკითხვას ვუპასუხებდეთ, მინდა აღვნიშნო, რომ თანამშრომლობის და ხელშეწყობის გაფორმების ინიციატორი

გახლავთ ჩვენი კუთხის შვილი თემურ აბესაძე, რომელიც დიდი ხანია ტელეფონის უნივერსიტეტში მუშაობს. პროექტს ასორციელებს ნორვეგიის მთავრობა, ნორვეგიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტი, კერძოდ, საერთაშორისო განათლების ცენტრი. პროექტი სამწლიანია და ვიმედოვნებთ, რომ გრძელვადიანი გახდება. ხელშეწყობის ვადის გაგრძელებისათვის ტელეფონის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და ხელმძღვანელობამ მზადყოფნა უკვე გამოთქვეს.

- დიდი ინტერესით სარგებლობს ტურიზმის ფაკულტეტი, რა საბაზისები გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის განხორციელება ან გაცვლით პროგრამების ამოქმედება?

- ტურიზმის ფაკულტეტი საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება, ერთი წელია რაც შეიქმნა და ბევრის მიღწევა მოვასწაროთ. სერიოზული პრეტენზია გვაქვს ვიყოთ პირველები. ჩვენი მიზანია სტუდენტებს მივცეთ ტრანსფერული ცოდნა, რათა შეძლონ სხვა ქვეყნებში დასაქმება.

ყველა პირობას ვქმნით იმისათვის, რომ მოვამზადოთ კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. კერძოდ, ვიყენებთ თანამედროვე მენეჯმენტის სისტემას. ტურიზმის ფაკულტეტმა, სასტუმროს მენეჯმენტის მაღალხარისხის სწავლებისათვის შეიძინა სასტუმროების მართვის პროგრამა. ეს არის კომპანია „Micro-Fidelio“-ს პროგრამული სისტემა „Opera“. ამ სისტემით სარგებლობენ სასტუმროების ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორცაა: „შერატონი“, „რედისონი“, „ჰილტონი“ და სხვა. სასტუმროს მენეჯმენტის თანამედროვე სისტემის სწავლება გათვალისწინებულია „ტურიზმის“ სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით და მისი მიზანია სასტუმროს ინდუსტრიისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

ასევე შევიძინეთ რესტორნის მენეჯმენტის პროგრამული სისტემა. გარდა ამისა, ფაკულტეტზე მოქმედებს ტურისტული სააგენტო „UNITOUR“-ი. სტუდენტებს ადგილზევე შეუძლიათ ტუროპერეიტინგის დადგენა.

რაც მთავარია, ნორვეგიის გარდა, მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს გერმანიისა და



ERASMUS MUNDUS-ის მეორე აქტივობის პროექტის ALRAKIS პრაიზენტაცია

Erasmus Mundus-ის მეორე აქტივობის პროექტის ALRAKIS-ის კოორდინატორი, გიორგი გენის გეორგ-აუგუსტუსის უნივერსიტეტის პროფესორი კარლოს მაჩადო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. რსუ-ს რექტორმა პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს პროექტის კოორდინატორი წარუდგინა და პროგრამის მნიშვნელობასა და გიორგი გენის უნივერსიტეტთან შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრა. Erasmus Mundus-ი თანამშრომლობისა და მოხილობის პროგრამაა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებას, სხვადასხვა ქვეყნებს შორის დიალოგსა და ურთიერთგაგებას. ALRAKIS-ის ფარგლებში განხორციელდება გაცვლითი პროგრამები სა-



ბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პოსტდაქტორო საფეხურებზე. პროექტი ასევე ითვალისწინებს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოხილობას ევროპული

და არაევროპული ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კონსორციუმში წარმოდგენილია 8 ევროპული უნივერსიტეტი:

- გიორგი გენის გეორგ-აუგუსტუსის უნივერსიტეტი, გერმანია - გრანტის მფლობელი და კოორდინატორი;
- ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, ბელგია;
- ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, პოლონეთი;
- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ესპანეთი;
- ტალინის უნივერსიტეტი, ესტონეთი;
- ტუსკიას უნივერსიტეტი, იტალია;
- გრაცის უნივერსიტეტი, ავსტრია;

- სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტი, შვედეთი;
 - საქართველოდან პროექტში ჩართულია შემდეგი უნივერსიტეტები:
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - პროექტის რეგიონალური კოორდინატორი;
 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
 - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- პროექტის კოორდინატორმა დამსწრეთ პროექტი ALRAKIS-ი წარუდგინა და რსუ-სთან შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრა.

ანანა თავაძირიძე



პროფესორი ონისე სურმანიძე 70 წლისა მათემატიკის ღვაწლმოსილი მსახური



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილება. სურათზე: ქართული აბსტრაქტული მათემატიკური სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი გიორგი ჭოლოშვილი და ამჟამად ჩვენი უნივერსიტეტის სრული პროფესორები ვლადიმერ ბალაძე და ონისე სურმანიძე.

ცნობილ ქართველ მათემატიკოსს, ქართული მათემატიკური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, პროფესორ ონისე სურმანიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. ო. სურმანიძის მოღვაწეობის წლები ნაყოფიერი სამეცნიერო და აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობის წლებად აღიარებულია.

ო. სურმანიძე დაიბადა 1942 წლის 13 იანვარს, ხულოს რაიონის სოფელ რაქვთაში, ენვერ სურმანიძისა და ფატი ბერიძის მრავალშვილიან ოჯახში. შრომისმოყვარეობა, წესიერება და ადამიანებთანადმი სიყვარული ღირსეული მამისა და გმირი დედის შესანიშნავ ქართულ ოჯახში გაზრდილი ყველა შვილისთვის, და მათ შორის ბატონი ონისესთვისაც, არსებითად დამახასიათებელია.

სოფ. რაქვთის შეიღწილი და ხიხაძის საშუალო სკოლების წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1959 წელს ო. სურმანიძე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. როგორც წარჩინებულ და მაღალი აკადემიური მომზადების სტუდენტს, მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი ხარისხის საუნივერსიტეტო (ლენინური) სტიპენდია.

1964 წელს ინსტიტუტის წარმატებულმა კურსდამთავრებულმა მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის სოფ. რაქვთის რევანლიან სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, 1965 წელს კი კომპაგვირის ხულოს რაიონის პირველ მდივანად, მაგრამ მალე, როგორც მათემატიკაზე უზომოდ შეყვარებულმა კაცმა, თანამდებობისაკენ მიმავალი წარმატებით დაწყებული გზა მიატოვა და 1968 წელს სამუშაოდ გადავიდა ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში.

პროფესორ ო. სურმანიძის სამეცნიერო მუშაობის სფეროს მიეკუთვნება თანამედროვე ალგებრის საინტერესო მიმართულება - ჯგუფთა თეორია. მის ამ არჩევანში დიდი როლი ითამაშა პროფესორმა შოთა ქემხაძემ, რომელიც მას სტუდენტობის წლებში უკითხავდა სპეციალურ

კურსებს ჯგუფთა თეორიაში. მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილების ხელმძღვანელის, საქართველოში აბსტრაქტული მათემატიკის ფუძემდებლის აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის ზეგავლენით, მისი კვლევების არეალი გაფართოვდა, საინტერესო შინაარსი შეიძინა და ტოპოლოგიურ ალგებრას დაუკავშირდა. ქართული აბსტრაქტული მათემატიკური სკოლის განვითარებას



რების ინტერესებიდან გამომდინარე, მისმა მასწავლებელმა გ. ჭოლოშვილმა 1969 წელს იგი მიაგვლინა მოსკოვის მათემატიკური სკოლაში, სადაც ცნობილი რუსი მათემატიკოსის, პროფესორ ლ. კულიკოვის ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი და დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სუსტად წრფივად კომპაქტური ტოპოლოგიური აბელის ჯგუფები“.

დისერტაციის დაცვის შემდეგ დაიწყო ო. სურმანიძის აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობა თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი მრავალი ცნობილი სამეცნიერო შრომის ავტორია, კითხულობდა საინტერესო ლექციების კურსებს თანამედროვე ალგებრის აქტუალურ მიმართულებებში.

პროფ. ო. სურმანიძე არის მრავალი მათემატიკური ფორუმის მონაწილე. იგი დიდი წარმატებით მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მათემატიკურ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. 1989 წლიდან ო. სურმანიძე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე, ხოლო 1996 წლიდან შეთავსებით - ბათუმის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე. 2006 წელს თავისი მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირა მშობლიურ ბათუმის უნივერსიტეტს. იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა მათემატიკის კათედრის, მათემატიკის დეპარტამენტის და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელ თანამ-



დებობებზე. პროფესორ ო. სურმანიძის საქმიანობას ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ თანამდებობებზე მუშაობას მუდმივად ახლდა საქმისადმი დიდი სიყვარული, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა.

დღესაც, ჩვეული ერთგულებით, ენერგიულად ემსახურება საყოველთაო საქმეს და მნიშვნელოვანი როლი შეაქვს ბათუმის მათემატიკური სკოლისა და უნივერსიტეტის განვითარებაში. განვლილმა წლებმა მას დიდი აღიარება მოუტანა და დამსახურებული ავტორიტეტი შესძინა, აქცია ქართული მათემატიკური სკოლის ღირსეულ წევრად და ქართული საგანმანათლებლო სივრცის ღვაწლმოსილ და თავდადებულ მსახურად.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული მათემატიკური სკოლა ულოცავს დასაბადებიდან სამოცდაათე წელს მათემატიკის ღვაწლმოსილ მკვლევარს პროფ. ო. სურმანიძეს და უსურვებს მას ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, წარმატებასა და კეთილდღეობას თავის შესანიშნავ ოჯახთან ერთად.

მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი — პროფესორი
3. ბალაძე

ხუსეინ ხალვაშის 100 წლის იუბილე აღინიშნა



რსუ-ს 509-ე და 511-ე აუდიტორიებს ცნობილი მეცნიერის, ფიზიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ხუსეინ ხალვაშის სახელი მიენიჭა. ღვაწლმოსილი მკვლევრის საიუბილეო სხდომაზე პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, კოლეგებმა, ნათესავებმა და მეგობრებმა კიდევ ერთხელ გაისინეს მისი მიღწევები და განვლილი გზა. ხუსეინ ხალვაშის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: თანამედროვე ფიზიკის აქტუალური პრობლემები - ბათუმი 2012. კონფერენციის მონაწილეებმა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ბათუმის საზღვაო პორტის აკვატორიის ეკოლოგიური მონიტორინგი ლაზერული სპექტროსკოპიის მეთოდით და ტალღური პროცესების შესწავლა რეალურ გარემოში (GNSF/STO8/5-451) კვლევის შედეგები შეაჯამეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

ელექტრობა და მაგნეტიზმის, ოპტიკის, ელექტრო რადიოტექნიკის, ფიზიკის მეთოდის, ასტრონომიის კაბინეტ-ლაბორატორიები, იგი მსოფლიო მნიშვნელობის დაკვირვებებს ახდენდა თანამგზავრების მოძრაობაზე მის მიერვე შექმნილი ვიზუალური სადგურით. ხუსეინ ხალვაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფია, ასამდე სამეცნიერო ნაშრომი და დამხმარე სახელმძღვანელოები. მის სახელს უკავშირდება სალექციო კურსები: „სტატისტიკურ ფიზიკაში“, „ელექტროდინამიკაში“, „ფარდობითობის თეორიაში“, „ოპტიკასა და კვანტურ მექანიკაში“. ავტორია ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია: „კულონური ურთიერთქმედების გავლენა პოზიტრონიუმის ატომის გამოსხივებად გარდაქმნაზე“, „მეზონის ელექტრონიტრონად დაშლის საკითხისათვის“, „ატომ-



ცნობილი მეცნიერი, ფიზიკოსი და საზოგადო მოღვაწე ხუსეინ თევრათის ძე ხალვაში დაიბადა 1912 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში. ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1931 წელს მუშაობდა დაიწყო ანგისის საფარეო-საქარხნო სკოლის გამგედ. მალე იგი ხულოს რაიონის განათლების ინსპექტორად გადააყვავდა. 1933-1934 წლებში ხულოს მუშა-ახალგაზრდობის პოლიტექნიკური სკოლის სასწავლო ჩანილი და მასწავლებელია.

1939-1943 წლებში ხუსეინ ხალვაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტია, რომლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის ასპირანტად, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად, უფროს მასწავლებლად. 1947 წელს მიაგვლინეს მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დაამუშავა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კულონური ურთიერთქმედების გავლენა პოზიტრონიუმის ატომზე“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1950 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1949-1972 წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრას. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მექანიკის, მოლეკულური ფიზიკის,

ბირთვული ძალების ინდუქციური მოდელი“, „პოზიტრონის გავლა ელექტრონულ გაზებში“, „მრავალ ნაწილაკთა პრობლემისათვის“, „ნივთიერებაში პოზიტრონის ანჰილაციის საკითხისათვის“, „ტალღური პროცესების ზოგიერთი მეთოდური და თეორიული საკითხები... მისი შრომები გამოქვეყნებულია უცხოეთის ბევრ ჟურნალში.

პედაგოგიური საზოგადოებისთვის ცნობილია ხ.ხალვაშის მიერ ჩატარებული ბათუმის №1 საშუალო სკოლაში. მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა აჭარის განათლების სამინისტროს ფიზიკა-მათემატიკის სექცია, რომელსაც სათავეში ედგა 40 წლის განმავლობაში.

ხუსეინ ხალვაში აჭარიდან პირველი ახალგაზრდა იყო რომელმაც ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, გახდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მას მიანიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით, მისი სახელი შესულია ინსტიტუტის საპატიო წიგნში. მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააჯილდოვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით.

პირველი საჯარო სკოლა მათი პარსკლავის მოსაოჯახლად ეზადაბა

მიმოსვლა



ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საჯარო სკოლის 72 კლასში 2012 მოსწავლე სწავლობს, რომელთაც 15 სერტიფიცირებული პედაგოგი ემსახურება. მოსწავლეთა 30% წარჩინებულია. სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით სკოლა სხვადასხვა მიზნობრივ პროექტშიც აქტიურად არის ჩაბმული.

გაზეთ ბათუმის უნივერსიტეტს პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი მედეა გვერდუაძე ესაუბრება:

– რამდენიმე სიტყვით თქვენს შესახებ...

– დავამთავრე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. წლების განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში ფსიქოლოგ მასწავლებლად, ფსიქოლოგად. ვასწავლიდი ქ. ბათუმის უმაღლეს პედაგოგიურ კოლეჯსა და საზღვაო აკადემიაში. 3 წელია ვხელმძღვანელობ ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის №1 საჯარო სკოლას. პარალელურად წლების განმავლობაში ვმუშაობდი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მეთურებისა და შვილად აყვანის კომისიის ფსიქოლოგად, ამავე სამინისტროსთან არსებულ არასრულწლოვან დანაშაულობათა დახმარების კომისიის წევრად და ქ. თბილისის ბავშვთა დახმარების ცენტრში ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცრად. ვარ მომთხოვნი, პრინციპული, ამავე დროს გულსხმიერი და სამართლიანი...

– როგორ შეფასებდით თანამედროვე სასკოლო ცხოვრებას?

– თანამედროვე სასკოლო ცხოვრება ცვლილებებით სავსე, დატვირთული, შინაარსიანი, მრავალფეროვანი და საინტერესოა.

– რამდენი მოსწავლე სწავლობს პირველ საჯარო სკოლაში და როგორია მათი მოსწრების აკადემიური დონე?

– ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საჯარო სკოლის 72 კლასში სწავლობს 2012 მოსწავლე, რომელთაც 30% წარჩინებულია (9-10 ქ.).

– როგორ შეფასებდით განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს?

– განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები იმდენად

მწყობრი და კარგად დასაბუთებულია, ამჟამად მისი გატარების აუცილებლობაზე აღარავინ დავობს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო განათლების სისტემის რეფორმა სკოლის მართვის, სწავლისა და სწავლების გაუმჯობესების, კეთილსამიერო სასწავლო გარემოს განვითარების, საერთაშორისო სტანდარტის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, მოსწავლეთა ინტეგრაციისათვის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

– პედაგოგთა სერტიფიცირება განათლების სისტემაში დღეს ერთ-ერთი აქტიური საკითხია. რამდენი სერტიფიცირებული პედაგოგია ბათუმის პირველ საჯარო სკოლაში?

– სკოლა ზრუნავს პედაგოგიური პოტენციის ხარისხობრივ ზრდაზე. დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში 15 სახელმწიფო სერტიფიცირებული პედაგოგია, მათ შორის ორს მაღალი ანაზღაურება აქვს.

– დღეისათვის აქტიურად სკოლების ავტორიზაციის საკითხიც ამ მხრივ რას იტყვით – როგორც ჩვენი ქალაქის მრავალკონტინგენტიანი სკოლის დირექტორი?

– წლებგანდელი სასწავლო წელი წარმატებულად დაიწყო ჩვენი სკოლისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრიტერიუმის საფუძ-

– რას იტყვით ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ და როგორია ამ მხრივ პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა შედეგები?



– ერთიანი ეროვნული გამოცდებმა საბოლოოდ აღმოფხვრა კორუფცია და აამაღლა მოსწავლეთა მოტივაცია. სწავლების ხარისხის გაუმჯობესებამ, რომელიც ჩვენი მუშაობის უპირველესი პრიორიტეტი იყო, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევები. სასკოლო საატესტატო გამოცდები წარმატებით გადალახა 120-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან 7 ოქროს მედალოსანია, 4 ვერცხლის. უმაღლეს სასწავლებ-

ბას გაუწია. მათგან აღსანიშნავია ევროპული კლუბის წარმატებული მუშაობა, სკოლის თვითმმართველობის მიერ მოწყობილი დებატები კერძო სკოლის „ნიკეს“

მონაწილეობით, თემაზე „არა ძალადობა, მოვიცილოთ მავნე ჩვევები ნარკოტიკი, ლოთობა, სიგარეტი“, ვიქტორინა-კონკურსები სამართლებრივ საკითხებზე, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო ეგიდით მიმდინარეობს ყოველწლიურად, წარმატებული მოსწავლეთა დასვენება პატრიოტულ ბანაკებში. გვყავს ჩემპიონები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, წარმატებულები ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 286-მა მოსწავლემ, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მესამე ეტაპზე გასული მოსწავლე ნათია გოგუაძე უცხოეთში ვიზიტით დაფინანსდა.

– ბათუმის პირველი საჯარო სკოლა სხვადასხვა პროექტში ხომ არ არის ჩართული?

– გარდა განათლების სამინისტროს კონკურსებისა, სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტში სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების, სწავლისადმი მოსწავლეთა ინტერესების გაღვივებისა და მათი წახალისების მიზნით:

- 1) საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტები;
- 2) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროექტები;
- 3) სახელმწიფო მუზეუმების მიერ ჩატარებული ღონისძიებები;
- 4) მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიერ გამოცხადებული შემოქმედებითი კონკურსების მონაწილეობა;
- 5) შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის უნივერსიტეტის, სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ჩატარებული ვიქტორინა;
- 6) არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სამოქალაქო საზოგადოებაში ჩართულობის პროექტები.

– ბათუმის პირველი საჯარო სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები...

– ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები არიან: ავთანდილ მახარაძე, თემურ ჩარჭვანი, ნუგზარ ერგემიძე, ლევან ანთაძე, ნანი გუგუნიანი, ნინო რუსეიშვილი, დალია ცივაძე, თემურ ორგაველიძე, პაატა ცინცაბაძე, დავით ქემსაძე, თამაზ თხილაიშვილი.

– ბათუმის პირველი საჯარო სკოლის სამომავლო მიზნები, ამოცანები და პერსპექტივები...

– რაც შეეხება სკოლის სამომავლო მიზნებს, გვსურს განვითაროთ ინდივიდუალური სახე საგანმანათლებლო სივრცეში. ამ მიზნით გაღმავლებულ უნდა ისწავლებოდეს საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დისციპლინები, უცხოური ენებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების გაძლიერებული შესწავლა, ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა უნარჩვევების გამომუშავებას და მათი პოტენციალის სრულ გამოვლენას.



ველზე, სკოლები შეფასდა ათვარსკვლავიანი სისტემის მიხედვით. ქალაქ ბათუმის სკოლათაგან მხოლოდ ორმა მოიპოვა 9 ვარსკვლავი, მათ შორის უძველესმა საგანმანათლებლო კერამ, ილია მართლის მიერ დაარსებულმა პირველმა ქართულმა სკოლამ,

– სკოლა ემზადება აკრედიტაციისათვის მე-10 ვარსკვლავის მოსაპოვებლად, რომელშიც მთავარი მოთხოვნა იქნება სკოლის ჩართულობა სხვადასხვა სახის პროგრამაში, ოლიმპიადებში, მოსწავლეთა წარმატებები, სწავლების ხარისხზე ორიენტირებულობა, სკოლის ინფრასტრუქტურა. ვფიქრობ, წარმატებით გავივლით ამ ეტაპსაც.

ელში ჩაირიცხა 95, სახელმწიფო გრანტი მიიღო 28-მ, მათ შორის 50%-იანი და მეტი 21-მა.

– მშობელი, სკოლა და მასწავლებელი – ეს სკოლის განუყოფელი ნაწილია. რამდენად ხშირად იმართება შეხვედრები და ძირითადად, რა პრობლემური საკითხები განიხილება?

– სკოლას ახლო ურთიერთობა აქვს მშობლებთან. ისინი აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საქმიანობაში. ადევნებენ თვალყურს ტესტირების მიმდინარეობას, შეფასების პროცესს, შედიან სამეურვეო საბჭოსა თუ დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, გვერდით გვიდგანან პრობლემების წამოჭრისას და მათი გადაჭრის გზების ძიებაში.

– თქვენი დაკვირვებით, როგორია თანამედროვე მოსწავლის (X-XII კლასების) ცოდნის თვალსაწიერი?

– საშუალო საფეხურის მოსწავლეს გათვითცნობიერებული აქვთ თანამედროვე მსოფლიოში ხარისხიანი განათლების მნიშვნელობა. ამდენად, ისინი მობილიზირებული არიან მიიღონ საფუძვლიანი ცოდნა.

– განათლების სამინისტრო ხშირად აცხადებს სხვადასხვა ტიპის კონკურსს. ამ მხრივ, რამდენად აქტიურია თქვენი სკოლა?

– სკოლა წარმატებითაა ჩართული განათლების სამინისტროს სხვადასხვა სახის პროგრამასა და ღონისძიებაში. სკოლაში არსებობს განათლების სამინისტროს დადგენილების შესაბამისად მოსწავლეთა საკმაოდ აქტიური თვითმმართველობა, რომელმაც ორგანიზება არაერთ ღონისძიე-



იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის 20 წლის უიბილეს ულოცავს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 1997 წლის კურსდამთავრებული ხათუნა ბოლქვაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტს ვულოცავთ იურიდიული ფაკულტეტის დაარსებიდან 20 წლის იუბილეს.

იურიდიული ფაკულტეტი დაარსებიდან დღემდე უშვებს კადრებს, რომლებიც წარმატებული პიროვნებები არიან და წარმატებულად ასპარეზობენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

20 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზა, იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესურა გვაფიქრებინებს, რომ იურიდიული ფაკულტეტის მემკვიდრე, ახლანდელი იურიდიული მეცნიერებათა დეპარტამენტი ყალიბდება სამართალმცოდნეობის სპეციალობაში სპეციალისტთა მომზადების კვალიფიციურ კერად. დღეს სამართალმცოდნეობის სტუდენტებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარჩვევების ასათვისებლად. ამას მოწმობს ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის თანამშრომლობაც.

კიდევ ერთხელ გულით გილოცავთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტს დაარსებიდან 20 წლისთავს და ქვეყნის საკეთილდღეოდ მრავალი თაობის აღზრდასა და დაფრთხილებას გისურვებთ.

პატივისცემით

ხათუნა ბოლქვაძე



პროფესორი გურამ ჩაგანავა 70 წლისაა

ფსიქოლოგიური პრობლემების აღიარებული მკვლევარი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გურამ ჩაგანავა დაიბადა 1941 წლის 25 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის პრიმორიის მხარის არტემოვის რაიონის სოფელ უგლოვოეში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში, რომელიც 1938 წელს ბათუმიდან გაგზავნეს შორეულ აღმოსავლეთში. 1944 წელს ოჯახი ჩამოვიდა საქართველოში. სხვადასხვა დროს ისინი ცხოვრობდნენ თბილისში, ფოთში, სევასტოპოლში. 1947 წლიდან ცხოვრობენ ბათუმში. გ. ჩაგანავამ 1961 წელს დაამთავრა ქალაქ ბათუმის №2 სალამოს სკოლა. 1961-1964 წლებში მსახურობდა არმიასში.

1964 წელს ჩაირიცხა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტის რუსული ენის, ლიტერატურისა და ინგლისური ენის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1969 წელს. სტუდენტობის პერიოდში დაინტერესდა ფსიქოლოგიით, რაც მისი ფსიქოლოგიის ლექტორის მარია მიკულინსკაიას დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. 1969-1979 წლებში მუშაობდა ბათუმის ინტურისტში თარჯიმნად. 1971-1975 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი. აკადემიკოს შოთა ნადარაშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა და 1978 წელს დაცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფაქტორ „თავისის“ გავლენა ალქმისა და ადამიანის მოქმედების შეფასების პროცესზე“. 1979-1981 წლებში მუშაობდა საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჭარის განყოფილებაში სოციალური პრობლემების სექტორის გამგებად.

1981 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში სწავლულ მდივნად, შემდეგ საინფორმაციო განყოფილების უფროსად. 1982 წლიდან შეთავსებით, შემდეგ კი სრულ განაკვეთზე მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლანდელ უნივერსიტეტში).

გ. ჩაგანავამ 1995 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „აპროპრიაციის ფსიქოლოგიის პრობლემები“. 2000 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით. 2009 წლიდან არის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ

მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი. 2010 წლიდან ხელმძღვანელობს სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს, არის ფსიქოლოგიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი. მისი ინიციატივით რამდენიმე წელია უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა კლინიკურ ფსიქოლოგიაში. 2009 წლიდან კი ამოქმედდა ფსიქოლოგიის პროგრამა ბაკალავრიატშიც, რაც იუბილარის უშუალო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ყოველივე ეს ბატონ გ. ჩაგანავას ფართო შესაძლებლობებზე მეტყველებს, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა უნივერსიტეტში მუშაობისას, ამიტომაც როგორც კი ჩამოყალიბდა უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის პირველი დამოუკიდებელი კათედრა (1991 წ., გამგე პროფესორი ნ. ბარამიძე), მისმა ხელმძღვანელმა ყველაფერი იღონა, რათა ბატონი გურამი სრული განაკვეთით დაფუძნებულიყო ფსიქოლოგიის კათედრაზე.

პროფესორი გ. ჩაგანავა მრავალმხრივი მკვლევარია. ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი ფსიქოლოგიურ, ფილოლოგიურ და ისტორიულ მეცნიერებებში. ბატონი გურამი ფლობს რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს. საგულისხმოა, რომ მამინე როდესაც ევროპულ ენებზე ლიტერატურის არათუ გამოყენება, მინვდომაც კი ძნელი და პრობლემური იყო (და მკვანთათვის მაინცდამაინც კარგ ტონად არ ითვლებოდა), გ. ჩაგანავა ამას კარგად ახერხებდა, რაც ასახულია კიდევ მის მრავალრიცხოვან სამეცნიერო ნაშრომებში, რომელთა შორის აღსანიშნავია მონოგრაფიები: „განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები (ბათუმი, 2001); „ისტორიული და სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“ (ბათუმი, 2004); „აპროპრიაციის ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (ბათუმი, 2009) და ენციკლოპედიური ლექსიკონი „რუსულ ენაზე“, „Психология страха“ (Багуми, 2004). როგორც ვთქვით, მეტად ფართოა პროფესორ გურამ ჩაგანავას სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო, მაგრამ მისი მეცნიერული მუშაობის ძირითადი მიმართულება მაინც აპროპრიაციის ფსიქოლოგიის პრობლემებია. ტერმინი აპროპრიაცია ლათინურად გარემოს დაუფლებას, გათავისებას, მიკუთვნებას, მიტაცებას ნიშნავს. აპროპრიაციის ფსიქოლოგია სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი შეიძლება განიხილოს, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური მიკუთვნების, პერსონალიზაციის, საკუთარი პიროვნული სივრცის ფსიქოლოგიური პრობლემების მომცველი მიმართულება. გ. ჩაგანავა გამოვიდა კვლევის ამ ვიწრო სფეროდან, დააკვირდა დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული მონაცემები საკუთარი ექსპერიმენტული კვლევის შედეგებთან და დაადგინა, რომ ფაქტორი „თავისი“ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ფიზიკური სამყაროს პარალელურად ფსიქოლოგიური, ფერომენოლოგიური სამყაროს შექმნას, რაც პიროვნების ცხოვრებას აძლევს იმ თავისებურებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ფსიქიკური განვითარების სპეციფიკას.

აპროპრიაციის ფსიქოლოგიის ჩაგანავასული კონცეფცია საშუალებას იძლევა განწყობის ფსიქოლოგიის თეორიის გამოყენებით დაიძლიოს ფსიქოლოგიური მეცნიერების მიმართულულებები შორის არსებული ზოგიერთი წინააღმდეგობა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სოციალური ფსიქოლოგიის კანონზომიერებათა დაუფლებას და ამ კანონზომიერებების განწყობის ფსიქოლოგისა და გენეტიკურ

ფსიქოლოგიასთან დაკავშირებას.

აპროპრიაციის ფსიქოლოგიის კონტექსტში პროფ. გ. ჩაგანავამ ექსპერიმენტულად ცალკე შეისწავლა ადამიანის მოქმედების შეფასების კანონზომიერებები კატეგორია „თავისი-არათავისი“ საზღვრებში. ცნობილია, რომ გარემოსთან ადამიანის ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი ტენდენცია არის ობიექტების „თავისი-არათავისი“ კატეგორიებისადმი მიკუთვნების ტენდენცია. ადამიანი გარემოში არსებული საგნებიდან, პირველ რიგში, ისეთებთან ამყარებს ურთიერთობას, რომლებიც გარკვეულ კავშირშია მის მოთხოვნილებებთან. ასეთი ობიექტები ქცევის სუბიექტის მიერ „თავისად“ განიცდება, სხვა ობიექტები კი „არათავისად“. ამ ტენდენციის გამო ადამიანი ზოგიერთი საგნისაკენ ისწრაფვის, ზოგიერთს კი გაურბის. ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ თავის-არათავისი კატეგორიებში გაერთიანებული ობიექტები, მართალია, არ განიცდიან ფიზიკურ ცვლილებებს, მაგრამ ადამიანისათვის ისინი სხვა მნიშვნელობას იძენენ, რომლის გამოც უკვე შეცვლილად აღიქმებიან. ბუნებრივია, ასეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მოვლენების ობიექტურ შეფასებას და ადექვატური ქცევის განხორციელებას.

ბოლო პერიოდში ბატონი გ. ჩაგანავა საგანგებოდ დაინტერესდა პათოლოგიური ფსიქოლოგიის საკითხებით. ამ პრობლემას მიუძღვნა მან ორიგინალური მონოგრაფია „შიშის ფსიქოლოგია“ (ენციკლოპედიური ლექსიკონი რუსულ ენაზე). ნაშრომი ეძღვნება ფსიქოპათოლოგიის საკვანძო საკითხებს, რომელიც კონცენტრირებულია ყველაზე უფრო გავრცელებული ფსიქოლოგიური დარღვევის - შიშის განცდის გარშემო. საკითხები ნაშრომში განხილულია აპროპრიაციის ფსიქოლოგიის ავტორისული კონცეფციის პოზიციებიდან.

ავტორის შეხედულებით, ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე განსხვავებული, გენეტიკურად ურთიერთდაკავშირებული და პრაქტიკულად წარუშლელი განწყობა, რომლებსაც აქვთ ალდგენისა და მოქმედების მუდმივი შესაძლებლობა. ამ ფუნდამენტური განწყობით ხშირად განპირობებულია ადამიანის ინ-

დივიდუალური მდგომარეობის თავისებურებები.

მონოგრაფიაში მოცემულია ფობიის აღმოცენების ფსიქოლოგიური მექანიზმები, ფსიქიკურ დაავადებათა აღმოცენების ავტორისული ჰიპოთეზები, რომლებიც დიდად საინტერესოა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით.

წარმატებულ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის ერთად, პროფ. გურამ ჩაგანავა შესანიშნავი ლექტორია. იგი კითხულობს სალექციო კურსებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში, ხელმძღვანელობს სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომებს, სისტემატიურად მონაწილეობს პროფესორ-მასწავლებელთა საუნივერსიტეტო, რეკონსტრუქციულ და საერთაშორისო კონფერენციებში, რედაქტორობს (პროფესორ ნ. ბარამიძესთან ერთად) პერიოდულ გამოცემას - ფსიქოლოგიური გამოკვლევები, არის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და პედაგოგიის დარგის სპეციალიზებული საბჭოს წევრი.

მიუხედავად სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, პროფესორი გ. ჩაგანავა საკმაოდ მოკრძალებული, სიტყვაფუძნით პიროვნებაა. იგი ჭკუმატი ინტელიგენტი და ინტელექტუალია. მისი სიტყვა წონიანია როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. მას იცნობენ, აფასებენ და პატივს სცემენ, როგორც ნესიერ, საქმის მცოდნე, პუნქტუალური და ყოველმხრივ დახვეწილი პიროვნება. შემთხვევითი არაა, რომ იგი უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის ხელმძღვანელია.

ბატონ გურამს ჰყავს შესანიშნავი ოჯახი: მეუღლე ლეილა ბუია - პედაგოგია, შვილი - პაატა ჩაგანავა - ეკონომისტი, იგი ჩვენი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. 70 წელი არაა მაინცდამაინც დიდი ასაკი, მაგრამ არც მცირეა. ბატონ გურამთან მიმართებაში კი ეს ასაკი ნამდვილად გადაჭარბებულიად აღიქმება. 70 წლის იუბილარი დღესაც ახალგაზრდულად, მხნედ და შემართულად გამოიყურება. ვუსურვებთ მას ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ალიოზა ბაპურიძე

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ნოდარ ბარამიძე



ვასილ იუსივ ოლი ტალიზოვი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი მეჯლისის თავმჯდომარეს ვასილ იუსივ ოლი ტალიზოვის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. ახალი აზერბაიჯანის პარტიის პრეზიდენტის პოლიტიკური საბჭოსა და მსოფლიოს აზერბაიჯანელთა საკოორდინაციო საბჭოს წევრი ხელს შეუწყობს ქართულ და აზერბაიჯანულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. დაიგეგმა რუს-სა და ნახიჩევანის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმება.



„ვასილ იუსივ ოლი ტალიზოვი“ საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გია აბულაძემ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მიზნობრივი პროგრამა „ვასილ იუსივ ოლი ტალიზოვი“ წარუდგინა და პროექტში შეტანილი ცვლილებები გააცნო. 2012 სასწავლო წლიდან კონკურსის წესით შერჩეული მასწავლებლები ხელფასის გარდა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაგან დამატებით გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებენ 400 ლარის ოდენობით. ასევე ისარგებლებენ დაზღვევის პროგრამით და უფასოდ ჩაერთვებიან პროფესიული გადამზადების კურსებში. კონკურსში მონაწილეობის მიღება უმაღლესი განათლების მქონე პირებთან ერთად, დამატავრებული კურსის სტუდენტებსაც შეუძლიათ.



ავთანდილ ბარათაშვილს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

რუს-ს აკადემიურმა საბჭომ ბატონ ავთანდილ ბარათაშვილს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა. 2007 წლიდან ბატონი ავთანდილი საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაში. რამდენიმე წელია მისი ინიციატივით, პროფესორ-მასწავლებლებისა და სოციალურად დაუცველი, წარჩინებული სტუდენტებისათვის სისტემატიურად გაიცემა პრემიები და სტიპენდიები. ავთანდილ ბარათაშვილის ფინანს-



ური მხარდაჭერით ასევე იგეგმება სამეცნიერო პროექტების განხორციელება.



ნავთობის მსოფლიო ფასების ფორმირება და მისი დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის კრიზისზე



ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მსოფლიო ფასების აწევის არაა ნავთობის მომწოდებელი ქვეყნები, არამედ ის დეინდუბა ნიუ-იორკში, ლონდონსა და სინგაპურში, სადაც განთავსებულია ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟები.

ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე წამყვანი პოზიცია უჭირავს 1980 წელს ჩამოყალიბებულ ლონდონის ბირჟას, სადაც ფორმდება ფიქტურული და ოფციონური კონტრაქტები ნავთობპროდუქტებზე (ნედლი ნავთობი, ბრენტის წარმოშობისა; ბუნებრივი აირი და მძიმე სანავთობო ნავთობი). ბირჟას ჰყავს 35 ნევრი და განთავსებულია ლონდონის ფორვარდულ ბირჟასთან. მას ემსახურება ლონდონის საკლირინგო პალატა (London Clearing House).

ლონდონის საერთაშორისო სანავთობო ბირჟამ 2002 წელს დაამყარა გაყიდვების მოცულობის რეკორდი, რომელიც გაიზარდა 30,4 მლნ. ლოტით, რაც 15%-ით მეტია 2001 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მთლიანმა გაყიდვებმა შეადგინა 705 მლრდ. \$. ბრენტის მარკის ნავთობის გაყიდვები გაიზარდა 16,6 %-ით, 18,3 მლნ. ლოტადან (2001 წ.) 21,5 მლნ. ლოტამდე (2002 წ.). ფიქტურული კონტრაქტები 2001 წელთან შედარებით გაიზარდა 12,8 %-ით. ბირჟაზე დებენ შემდეგი სახის კონტრაქტებს:

BRENT CRUDE OIL FUTURES	ფიქტურული კონტრაქტები ბრენტის ტიპის ნედლი ნავთობზე
Gas Oil Futures	გაზნავთობის ფიქტურული კონტრაქტები წარმოადგენს ნახშირწარმოების შენარევს, რომელიც შედგება: ნავთობის ფრაქციისაგან - მძიმე უფრო ატმოსფერული ან ვაკუუმური ატმოსფერული ნავთობისაგან და კატალიზატორული კრეკის მიღებული ნედლეულისაგან
Natural Gas Futures	ფიქტურული ბუნებრივი აირზე
Electricity Base load Futures	ფიქტურული ელექტრობაზე

2005 წლის სექტემბრამდე ბირჟა ინოვაციურად საერთაშორისო (International Petroleum Exchange), ოქტომბრიდან მას ოფიციალურად ეწოდა ინტერკონტინენტალური ფიქტურული ბირჟა - ICE Futures (Intercontinental Exchange Futures).

ნავთობის ფასების დადგენაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს 2001 წელს აშშ-ში ჩამოყალიბებული ამერიკული ინტერკონტინენტალური ბირჟა - ICE (Intercontinental Exchange), რომლის პრაქტიკულ მფლობელებს წარმოადგენენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა British Petroleum, Goldman Sach და Morgan Stanley. ბირჟამ შეიძინა ლონდონში განთავსებული ევროპის ნედლეულის ბირჟის (IPE - International Petroleum Exchange) აქციები 67,5 მლნ. დოლარად. აღნიშნულ ბირჟაზე ყოველდღიურად იდება 1,1 მლრდ. დოლარის გარიგებები.

2011 წლის 13 ივლისს თეირანში გაიხსნა ირანის საერთაშორისო ნავთობის ბირჟა, ირანის ნავთობმწოდებლის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს გაუსწის ახალ შესაძლებლობებს უცხოელ ინვესტორებს. თეირანის ბირჟის გახსნა გამოიწვევს ირანის სახელმწიფო მონოპოლიის შესუსტებას და მოიზიდავს კერძო კაპიტალს ირანის ნავთობმწოდებლობაში. ირანის ნავთობის ბირჟა გახდება, ნავთობზე ფასების ინტერნაციონალიზაციის პროცესის კიდევ ერთი პლაცდარში. ბირჟა მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, საკურორტო ქალაქ კიშიში, ამიტომ ვაჭრობა მიმდინარეობს კიშის ნავთობზე ფიქტურული კონტრაქტებით.

ენერგეტიკული ფიქტურები და ოფციონები წარმოდგენილია 2 ძირითად ბირჟაზე: საერთაშორისო ნავთობის ბირჟა (IPE - International Petroleum Exchange) და ნიუ-იორკის სავაჭრო ბირჟა (NYMEX - New York Mercantile Exchange).

ნავთობის ბირჟებზე ძირითადი მიმწოდებლებია რუსეთი, აშშ და საუდის არაბეთი. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან პოზიციებს იჭერენ ნიგერია, დიდი ბრიტანეთი და მექსიკა.

ნედლი ნავთობი დისტილაციით გადა-

მუშავდება. გადაუმუშავებელი პროდუქტის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა კომპონენტი. დუღილის შემდეგ პირველ რიგში გადაუმუშავებელი მსუბუქი კომპონენტები, ხოლო შემდეგ მძიმე დისტილატები. დისტილაციის პროცესის გარდა გამოიყენება კრეკინგი - ნავთობის ძვირფასი პროდუქტების მისაღებად.

გადაუმუშავებელი ნავთობი კლასიფიცირდება სამი მახასიათებლით: ნედლეულის შემადგენლობით, სიმკვრივით და მოპოვების ადგილით.

კონტრაქტების კოტირება განისაზღვრება აშშ დოლარით ტონაზე, ხოლო ნედლი ნავთობზე - აშშ დოლარით ბარელზე. ერთ-ერთ უმსხვილეს ენერგეტიკულ ბირჟას წარმოადგენს X, სადაც ვაჭრობა ხორციელდება ენერგეტიკული დერივატივებით:

პროდუქცია	ფიქტურული/ოფციონი	ბირჟა	გადახდა	შესრულება
ბრენტ	F	IPE	C/P	-
ბრენტ II	O	IPE	F	-
დიზელის სანავთობი	F	IPE	P	A
დიზელის სანავთობი	O	IPE	F	-
ბუნებრივი აირი	F	IPE	P	A
ნედლი ნავთობი	F	NIMEX	P	-
სანავთობი	F	NIMEX	P	-

სადაც: F - ფიქტურული, O - ოფციონი, C - ნალდი ანგარიშსწორება, P - უნალდო ანგარიშსწორება, A - ამერიკული

მსოფლიოში ავტორიტეტული ანალიტიკური ცენტრები, ისეთები, როგორიცაა საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო და ოპეკი მომავალი ათწლეულისათვის პროგნოზირებენ ენერგეტიკული რესურსების მოხმარების ზრდასა და ენერგეტიკულ ბალანსში ბუნებრივი აირის ხვედრითი წილის ზრდას.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემებით 2012 წლის ბოლოსათვის ნავთობის მოხმარება გაიზარდება 0,4%-ით, ხოლო მომავლისათვის, ყოველწლიურად გაიზარდება 1%-ით და 2030 წლისათვის შეადგენს 106 მლნ. ბარელს.

ოპეკის მიერ მომზადებულ საერთაშორისო ნავთობის ბაზრის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ 2010-2030 წლებში ნავთობის მოხმარების წლიური ზრდის ტემპი შეადგენს 1,2%-ს, ხოლო გაზისა - 2,1%-ს, 2030 წლისათვის ნავთობის წლიურ ზრდას, მიღებული პროგნოზი ენერჯის 32,7% (2006 წელი - 37,3%), ხოლო გაზისა - 24,4% (2006 წელი - 22,2%), ანუ 2030 წლისათვის, მათი წილი გამოუმუშავებულ ენერჯიში მიაღწევს 57,1%-ს. ამავე პროგნოზით, 2030 წლისათვის განვითარებადი ქვეყნები დღე-ღამეში მოიხმარენ 51,5 მლნ. ბარელ ნავთობს, ხოლო განვითარებულნი - 56,2 მლნ. ბარელს.

მსოფლიოში არსებული ნავთობის მარაგი საკმარისია მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მისი დამუშავებისათვის საჭიროა დიდი ოდენობით კაპიტალდაზღვრება (2010-2030 წლებში - 24 ტრლნ. დოლარი). ნავთობის მარაგები არათანაბრადაა განაწილებული: ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ჩინეთზე, იაპონიაზე, გერმანიაზე, კანადასა და საფრანგეთზე მოდის მთლიანი მოხმარების 47,2% და 41% მისი წარმოებისა. 50% - სამ არაბულ ქვეყანაში (საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, კუვეიტი), ასევე, ირანის, რუსეთის და ნიგერიაში. ამავე დროს სამივე ქვეყნის - რუსეთის, კატარის და ირანის ანგარიშზეა 56% მსოფლიოს გაზის მარაგებისა.

ეკოლუციურმა სიტუაციამ მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზრებზე გამოიწვია ნახშირწყალბადების ძებნის დაჩქარება და ძიების საზღვრების გაფართოება. ჩამოყალიბდა ნავთობპროდუქტების მსოფლიო მნიშვნელობის ახალი ბაზები.

ნავთობის ფასები ისეთივე მახასიათებლით გამოირჩევა, როგორც ჩვეულებრივ პროდუქციასზე ფასების ცვლილება: ნავთობის მოპოვების შემცირებისას ფასები იზრდება, ხოლო გაზრდისას - მცირდება.

ნედლი ნავთობზე არასტაბილური ფასები შეიძლება რამდენიმე წლით გაგრძელდეს, რაც დამოკიდებული იქნება მოთხოვნის ცვლილებაზე, ასევე ნავთობის მოპოვების ქვეყნების ცვლილებებზე.

1869 წლიდან 1 ბარელი ამერიკული ნავთობის ფასი შეადგენდა დაახლოებით 18,59 დოლარს, მაშინ როცა, ნავთობის მსოფლიო ფასი იყო 19,41 დოლარი.

1948-1960 წლებში ნავთობის ფასები იცვლებოდა 2,5-3 დოლარამდე (1 ბარელი).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ამერიკის ნავთობმწოდებლობის მიერ დაწესებული ფასები მკაცრად რეგულირდებოდა წარმოების გაზრდა-შემცირებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1 ბარელი ნედლი ნავთობის ღირებულება შეადგენდა

22,86 დოლარს (2004 წლის ფასები, ინფლაციის გათვალისწინებით). 1947-2004 წლებში 1 ბარელი ნავთობის ღირებულება საშუალოდ შეადგენდა 17,18 დოლარს.

1958-1970 წლებში ნავთობის ფასები სტაბილური იყო და შეადგენდა დაახლოებით 3 დოლარს, მაგრამ თუ გადავიყვანთ თანამედროვე დროის ფასებზე, ვნახავთ, რომ ნავთობზე ფასები შემცირდა 16 დოლარიდან 13 დოლარამდე, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა ნავთობმომწოდებელ კომპანიებს 1971-1972 წლებში, როდესაც დოლარის კურსი დაეცა. 1971 წლის მარტში ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის მოპოვების ლიმიტი გაუქმდა. ეს ნიშნავდა იმას, რომ ნავთობზე ფასების კონტროლის მექანიზმი აშშ-დან გადადიოდა ოპეკის ქვეყნებზე.

1972 წლისათვის 1 ბარელი ნავთობის ღირებულება შეადგენდა 3 დოლარს, ხოლო 1974 წლის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი 4-ჯერ გაიზარდა და შეადგინა 12 დოლარი.

1973 წლის 5 ოქტომბერს, სირია და ეგვიპტე თავს დაესხნენ ისრაელს და დაიწყო ე.წ. ქიფურის ომი. აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს ისრაელს, რის შედეგადაც ნავთობმომწოდებელმა არაბულმა ქვეყნებმა ნავთობის მიწოდებაზე განაცხადეს ემბარგო. ამ ქვეყნებმა ყოველდღიური ნავთობმომწოდება 5 მლნ. ბარელიდან შემცირეს 4 მლნ. ბარელამდე.

1974-1978 წლებში ბარელი ნავთობის ღირებულება მცირედით ირყეოდა 12,21 დოლარიდან 13,55 დოლარამდე.

ნავთობის ფასების მორიგ მატებაზე ზეგავლენა მოახდინა 1979-1980 წლების ირანის რევოლუციამ, რომლის დროსაც წარმოება შემცირდა დღე-ღამეში 2-2,5 მლნ. ბარელით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნავთობის მოპოვება-წარმოება შეწყვეტილი იყო. 1980 წელს ერაყ-ირანის ომმა გამოიწვია ნავთობის შემცირება 6,5 მლნ. ბარელით დღე-ღამეში და შეადგინა 1 მლნ. ბარელი. ნავთობის მსოფლიო მოპოვება წინა წელთან შედარებით შემცირდა 10%-ით (1979 წელთან შედარებით).

ირანის რევოლუციისა და ერაყ-ირანის ომიდან გამომდინარე, ნავთობის ფასები გაიზარდა 2,5-ჯერ. 1979 წელს ბარელი ნავთობის ღირებულება შეადგენდა 14 დოლარს, ხოლო 1981 წლისათვის მიაღწია 35 დოლარს. დღეისათვის ირანში ნავთობის მოპოვება განახლებულია ირანის რევოლუციამდე პერიოდთან შედარებით.

ნავთობზე ფასის სწრაფმა მატებამ 1973-1981 წლებში, თავისი გავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკულ პოლიტიკაზე. აშშ-მ დაამყარა ქვეყნის შიგნით მოპოვებულ ნავთობის ფასებზე კონტროლი. ამან გამოიწვია ის, რომ ნედლი ნავთობის მომხმარებლები ყიდულობდნენ მას 50%-ით უფრო იაფად, ანუ ნავთობის ამერიკული გადაამუშავებულები ყიდდნენ პროდუქციას მსოფლიო ფასებზე იაფად.

1973-1974 წლებში, ეკონომიკური ვარდნა, რაც გამოიწვია ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა, შეუმჩნეველი იყო, იმდენად, რამდენადაც ნავთობის მომხმარებელთათვის ფასები დაბალი იყო, თუმცა არსებობდა სხვა შედეგები: თუ არ იქნებოდა ფასებზე კონტროლი, ნავთობის მოპოვება-გადამუშავება უფრო ეფექტური გახდებოდა. მაღალი ფასები განაპირობებდა უფრო მეტ მოპოვებას, მაგრამ - ნაკლებ მოთხოვნას.

ოპეკი იშვიათად ახდენდა ფასებზე პირდაპირ ზემოქმედებას. ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა კარტელისადმი იყო ის, რომ მისი წევრი ქვეყნებისთვის გაეზარდა ნავთობის მოპოვების ქვოტები. ფასების გაზრდის პერიოდში (1979-1980 წ.წ.) საუდის არაბეთის ნავთობმწოდებლობის მიწისტირი აფრთხილება კარტელს, რომ ფასების განუსაზღვრელი ზრდა გამოიწვევდა მოთხოვნის შემცირებას.

ნავთობის ფასების ზრდამ ოპეკის არაწევრ ქვეყნებს სტიმული მისცა დაეწყოთ ახალი საბადოების აღმოჩენა და დამუშავება. 1980-1986 წლებში ამ ქვეყნებში ნავთობის დღე-ღამეში მოპოვება გაიზარდა 10 მლნ. ბარელით.


ნავთობზე ფასების ზრდამ გამოიწვია ის, რომ მომხმარებლებმა გააუმჯობესეს თბოიზოლაცია როგორც ახალ, ისე ძველ სასახლასა და სამრეწველო დანიშნულების შენობა ნაგებობებში; მანქანათმშენებლებმა დაიწყეს მცირე ზომის მანქანების, მაგრამ მაღალი გარბენის მქონე ავტომობილების გამოშვება. ამ ფაქტორებმა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან ერთად გამოიწვია ნავთობზე მოთხოვნის შემცირება და შესაბამისად, ფასების ვარდნა.

1982-1985 წლებში ოპეკი შეეცადა ნავთობის ამოღების დაბალი ქვოტების დანერგვით დაერეგულირებინა ფასები, მაგრამ ეს მცდელობა უნაყოფო გამოდგა, რადგან კარტელის წევრი ქვეყნები ასერხებდნენ ამოვლოთ დაწესებულ ნორმაზე მეტი ნავთობი. ამ პერიოდში ამას საუდის არაბეთი

ანესრიგებდა, მაგრამ 1986 წლის დასაწყისში მათ ნავთობის დღე-ღამეში წარმოება გაზარდეს 2 მლნ იდან 5 მლნ. ბარელამდე, რამაც გამოიწვია ფასების შემცირება 1 ბარელზე 8 დოლარამდე. 1986 წლის დეკემბერში ოპეკის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ 1 ბარელი ნავთობის 18 დოლარიან ფასზე, მაგრამ მომდევნო წლის იანვარში ფასი მკვეთრად შემცირდა.

1990 წელს ფასები ისევ გაიზარდა, რაც გამოიწვევდა იყო ერაყ-ქუვეითის ომი და სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებებით. ომის შემდგომ პერიოდში ფასები სტაბილურად მცირდებოდა, მაშინ, სანამ 1994 წლის ინფლაციის შედეგად არ დაეცა მინიმუმამდე.

ნავთობის ფასები (1998-2008)



1990 წლებიდან თანდათანობით დაიწყო ნავთობის ფასების ზრდა. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა დინამიკურად იზრდებოდა, მაგრამ წყნარი ოკეანის ნავთობით მდიდარ რეგიონებში არახელსაყრელი ვითარება იყო. 1990-1997 წლებში ნავთობის მსოფლიო მოხმარება დღე-ღამეში გაიზარდა 6,2 მლნ. ბარელამდე. აზიის ქვეყნების მხრიდან ნავთობზე მოთხოვნამ შეადგინა 300 ათასი ბარელი დღე-ღამეში. ამან გამოიწვია ნავთობის ფასების მორიგი ზრდა.

ნავთობზე ფასების ზრდა შეეწერდა თითქმის მამინევე, როდესაც ოპეკმა არ მიიღო მხედველობაში აზიის ეკონომიკური კრიზისი. 1997 წლის დეკემბერში ოპეკმა გაზარდა ნავთობის მოპოვების ქვოტა 10%-ით და შეადგინა დღე-ღამეში 27,5 მლნ. ბარელი. 1998 წლიდან აზიის ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ნავთობზე მოთხოვნის შემცირება და მისი დონე გაუტოლდა 1982 წლის მაჩვენებელს. მოპოვების გადიდება და მოთხოვნის შემცირებამ გამოიწვია ფასების კლება. აქედან გამომდინარე, ოპეკმა 1997 წლის აპრილში დღე-ღამეში მოპოვების ქვოტა შეამცირა 1,25 მლნ. ბარელით, ხოლო ივნისში - 1,335 მლნ. ბარელით. მიუხედავად მცდელობისა, ფასები მაინც მცირდებოდა და ოპეკმა ქვოტა კიდევ შეამცირა 1,719 მლნ. ბარელით. 1999 წლის მაისამდე ნავთობის მოპოვების დღე-ღამეში ნორმამ შეადგინა 3 მლნ. ბარელი, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ 1 ბარელი ნავთობი შეფასებულყოფ 25 დოლარად.

ახალი ათასწლეულის დადგომასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა და აშშ-ის ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა ნავთობის ფასების შემდგომი ზრდა. 2000 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე ნავთობპროდუქტების ქვოტის სამჯერ გაიზარდა, მაგრამ ეს არ გამოდგა ფასების სტაბილური გარანტი. მას შემდეგ, რაც 2000 წლის ნოემბერში, სადღე-ღამეში მოპოვების ქვოტა ისევ გაიზარდა 500 ათასი ბარელით ფასები დასტაბილიზდა.

2001 წლისათვის ოპეკმა ისარგებლა რა ამერიკული ეკონომიკური ზრდის შემცირებით და ოპეკის არაწევრ ქვეყნებში ნავთობის მოპოვების ზრდით, შეამცირა ფასებზე კონტროლი. ამ მიზნით კვლავ მოახდინეს ნავთობის მოპოვების ყოველდღიური ქვოტის შემცირება 3,5 მლნ. ბარელამდე (2001 წლის 1 სექტემბერი). რომ არა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი, შესაძლოა ასეთი პოლიტიკა წარმატებული ყოფილიყო. 11 სექტემბრის მოვლენის შემდეგ ნავთობის ფასი მკვეთრად შემცირდა. სპოტ ფასი ამერიკულ ნავთობ West Texas Intermediate (WTI) 35%-ით დაეცა. ჩვეულებრივ პირობებში, ნავთობის ფასების დაცემა გამოიწვევდა ოპეკის მხრიდან დღე-ღამეში მოპოვების ქვოტების შემცირებას, მაგრამ იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ოპეკმა ქვოტები 1,5 მლნ. ბარელით/დღე-ღამეში შეამცირა მხოლოდ 2002 წლის იანვარში. ეს გაითვალისწინეს კარტელის არაწევრმა ქვეყნებმა, მათ შორის რუსეთმაც, ასეთმა ქმედებებმა გამოიწვია 1 ბარელი ნავთობის ფასის დაფიქსირება 25 დოლარის ნიშნულზე. 2002 წლის შუა პერიოდში, ოპეკის არაწევრმა ქვეყნებმა ალაღვიეს მოპოვების ნიშანდღე ქვოტებში, მაგრამ ფასი ისევ განაგრძობდა ზრდას. წლის ბოლოსათვის აშშ-ს ნავთობის მარაგმა მინიმუმს მიაღწია ბოლო 20 წლის განმავლობაში.



გვ. 8

2002 წლის ბოლოსათვის, ვენესუელას ნავთობკომპანიის თანამშრომელთა გაფიცვამ, რომელსაც შეუერთდნენ სახელმწიფო ნავთობკომპანია PDVSA-ს თანამშრომლები, გამოიწვია ამ ქვეყანაში ნავთობის მოპოვების შემცირება. გაფიცვის შემდეგ ვენესუელამ ორი წლის განმავლობაში ვერ შეძლო ნავთობის მოპოვების ძველი მაჩვენებლების აღდგენა, რაც შეადგენდა 3,5 მლნ. ბარელს დღე-ღამეში. დღეისათვის ნავთობმოპოვება ვენესუელაში შეადგენს 3,5 მლნ. ბარელს.

2003 წლის 19 მარტს, მაშინ, როცა ვენესუელა ცდილობდა დაბრუნებოდა ნავთობის მოპოვების ძველ ნიშნულს, ერაყში დაიწყო საომარი მოქმედებები. ამავე დროს აშშ-სა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების ნავთობის მარაგები მცირდებოდა. ეკონომიკური ზრდის პირობებში, ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნა შეერთებული შტატებში მუდმივად იზრდებოდა, ხოლო აზიის ქვეყნებში - ყოველდღიურად.

მწარმოებლების შემცირებამ ერაყსა და ვენესუელაში ნავთობის მსოფლიო მოთხოვნის გაზრდის პარალელურად გამოიწვია ნავთობის ფასების მორიგი ზრდა. 2004-2005 წლებში, ნავთობის მოპოვება შემცირდა დღე-ღამეში 1 მლნ. ბარელამდე, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. დღეისათვის ყოველდღიური მოთხოვნა ნავთობპროდუქტებზე შეადგენს დაახლოებით 85-87 ბარელს. 2004-2005 წლებში 1 ბარელი ნავთობის ფასი შეადგენდა 40 დოლარს.

2006 წლის დასაწყისიდან, დაიწყო ნავთობის ფასების ზრდა, რაც გამოწვეული იყო ბენზინის მოხმარების გადიდებითა და პარალელურად მასზე ფასების ზრდით, ნიგერიიდან ნავთობის მოწოდების შემცირებითა და ირანის ატომური ენერჯეტიკის განვითარებით. ნავთობის მსოფლიო ფასზე ნეგატიურად იმოქმედა არახელსაყრელმა ამინდის პირობებმა: დაბალმა ტემპერატურამ რუსეთში გამოიწვია ნავთობის მოპოვების შემცირება, ტრანსპორტის მოცდენა და შესაბამისად, დაბალი მიწოდება. ამავე დროს, აზიასა და ევროპაში, დაბალი ტემპერატურიდან გამომდინარე, იზრდებოდა მოთხოვნა ბუნებრივ აირზე, რუსეთიდან მიწოდების შემცირებამ, გამოიწვია მოსახლეობის გადასვლა ნავთობპროდუქტებზე. იმავე წლის თებერვალში, მსოფლიო ფასები ნავთობზე შემცირდა იქიდან გამომდინარე, რომ გაიზარდა აშშ-ს რეზერვები და დაიწყო დათბობა. ასევე ფასების შემცირებაზე გავლენა იქონია ირანის ირგვლივ სიტუაციის გაუმჯობესებამ, თუმცა არასტაბილური გეოპოლიტიკური სიტუაცია კვლავ ახდენდა გავლენას ნავთობის ბაზარზე. თებერვლის მეორე ნახევრიდან ფასები ისევ გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო ნიგერიაში ნავთობის მოპოვების შემცირებითა და საუდის არაბეთში ძირითად ნავთობწარმოებელ ტერიტორიის ტერორისტული აქტებით.


2006 წლის მარტში ნავთობის ფასები ისევ გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობ

ბადადამუშავებელი ქარხნების ტექნიკური მოდერნიზაციით. ფასების გაზრდა ხდებოდა მიწოდების შემცირების კვალდაკვალ.

2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენდა ნავთობის ფასების ვარდნა, მით უმეტეს, რომ მას წინ უძღვოდა ფასების დინამიური მატება. ნავთობის ფასმა თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია 2008 წლის 3 ივლისს: 1 ბარელი - 140,73 დოლარი. ნავთობზე მინიმალური ფასი დაფიქსირდა 2008 წლის დეკემბერში - 1 ბარელი - 32 დოლარი. კრიზისი გაამძაფრა იმანაც, რომ ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც ნავთობის მოპოვებაზე იყო დამოკიდებული, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ფასები შემცირდა სხვა ბუნებრივ რესურსებზეც.

სიტუაციის გამოსასწორებლად, 2008 წლის დეკემბერში, ალჟირის კონფერენციაზე ოპეკმა გადაწყვიტა შემცირებინა ნავთობის სადღეღამისო მოპოვება 4,2 მლნ. ბარელით, შედეგად ნავთობის სადღეღამისო მოპოვებამ შეადგინა 24,845 მლნ. ბარელი (ნაცვლად 29,045 მლნ. ბარელისა - 2008 წლის სექტემბერი).

ოპეკის ნავთობის კალათის ღირებულება



ოპეკის ექსპერტების განმარტებით, ნავთობის ფასების ზრდა გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით. მათ შორის უმთავრესია გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა, რომლის შედეგადაც იზრდება მოთხოვნილება ნავთობპროდუქტებზე. ასევე მნიშვნელოვანია მსხვილი ნავთობპროდუქტების მოხმარებელი ქვეყნების მარაგების მნიშვნელოვანი შემცირება.

ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდა, რაც გამოწვეული იყო 2011 წლის იანვარში აფრიკის ჩრდილოეთით განვითარებული მოვლენებით, შესაძლებელია გახდეს მსოფლიო ეკონომიკის ხელახალი რეცესიის მასტიმულირებელი ფაქტორი. კრიზისულმა გამოვლინებებმა შეიძლება მოიცავს ენერჯეტიკულ რესურსებზე დამოკიდებული ქვეყნების უმრავლესობა, იმ შემთხვევაში, თუ ევროპულმა და ტუნისში განვითარებული მოვლენები გაგრძელდება ახლო აღმოსავლეთის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა იორდანია, იემენი, ბახრეინი და სირია.

მსოფლიოში ბოლო ხუთი ეკონომიკური კრიზისიდან, სამი მათგანი გამოწვეული იყო ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური მერყეობით, რამაც გამოიწვია ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდა.

ბოლო ეკონომიკური კრიზისის გაღვივებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნავთობის ფასების ზრდამ. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის

დაქვეითება დაიწყო ჯერ კიდევ 2007 წლის დეკემბრიდან, მაშინ, როცა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გაღვივდა მხოლოდ 2008 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც 1 ბარელი ნავთობის ფასმა მიაღწია 148 დოლარს.

2010 წლის ბოლოსა და 2011 წლის დასაწყისში, მანამ, სანამ განვითარებულ ქუჩისსა და ევროპის მოვლენები, დაიწყო ნავთობის ფასების ზრდა. ფასის 90 დოლარამდე ზრდა ბარელ ნავთობზე, გამოწვეული იყო მსოფლიო ეკონომიკური დაწყებული აღმავლობის პროცესით და კაპიტალის მოზიდვით, რომელიც ერთბაშად ჩაიდო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. მსოფლიო ნავთობის მარაგების შეზღუდვას ასევე მამოწვავს რეგულირებადი ფაქტორი ფასების ზრდისა.

ნავთობზე ფასების ზრდა და შესაბამისად, სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდა, განვითარებულ ქვეყნებში ინვესტიციური პროცესებს, რაც ნიშნავს ვაჭრობის არახელსაყრელ პირობებს და პირადი შემოსავლების შოკს. თუკი ნავთობის ფასების ზრდა გაგრძელდება, მისი შედეგი შესაძლებელია იყოს ხელახალი ეკონომიკური კრიზისი და რეცესია.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი არეულობების შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატები ნავთობს იმარაგებს, ამერიკის შეერთებული შტატების ენერჯეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ამერიკაში ნავთობის კომერციული მარაგი (სტრატეგიული მარაგის გამოკლებით) ამოიწურა, ხოლო 1 კვირაში მარაგი 2.59 მილიონი ბარელით (0,8%-ით) შეივსო და ჯამში, 343,16 მილიონ ბარელამდე გაიზარდა. ბოლო 18 წლის განმავლობაში ამერიკაში ბენზინის მაქსიმალური მარაგი არსებობს.

აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ ეკონომიკურ შედეგებზე, რომელიც უკვე გამოიწვია ევროპის, ლიბიისა და ტუნისის მოვლენებმა - ეს არის ნავთობის ფასის მომატება მსოფლიო ბაზარზე. ნავთობის ფასმა ბარელზე ბოლო პერიოდში უკვე ორჯერ გადააჭარბა 100 დოლარიან ფსიქოლოგიურ ბარიერს. გაიზარდა გემების ფრახტისა და მათი დაზღვევის ფასებიც. ამის მთავარი მიზეზი მეცხრამეტე საუკუნეში გაყვანილი სუეცის არხია, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე გადის და აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარი რეგიონების დასავლეთთან დააკავშირებელი მთავარი საშუალებაა. არხი ყოველდღიურად 1,8 მილიონ ბარელ ნავთობს ატარებს (სხვა ტვირთის გარდა). მის გვერდზე გადის მილსადენი სუეიდი, რომელიც თავის მხრივ 1,1 მილიონ ბარელს ატარებს დღეში და საჭიროების შემთხვევაში ამ რაოდენობის 2,3 მილიონამდე გაზრდა შეიძლება. მათი გადაკეტივის შემთხვევაში ნავთობს აფრიკის გარშემო გახდება სატარებელი, ეს ტრანსპორტირებას გააძვირებს, თუმცა სანავაი, თავისთავად ბაზარზე არ მოიკლებს. ასეთ პირობებში, ოპეკმა გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში გაზარდოს მოპოვება.

ახლო აღმოსავლეთში დაძაბული ვითარებისა და ამ რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში რევოლუციური ტალღის გავრცელების გამო ნავთობის ფასთან დაკავშირებით მდგომარეობა არასტაბილურ

ნობრებადია. ახლო აღმოსავლეთში ვითარების შემდგომი ესკალაციის ფონზე ნავთობის ფასი კვლავინდებურად იზრდება ფასების ზრდა ახლაც მიმდინარეობს ყველა წამყვან სანავთობო ბირჟაზე.

2011 წლის მარტში ლიბიაში სამოქალაქო ომისა და საერთაშორისო ძალების მიერ განხორციელებული თავდასხმების დროს ნავთობის მოპოვება დღე-ღამეში 40-ჯერ შემცირდა. ლიბიის ნავთობპროდუქტების მონაცემებით, ნავთობის მოპოვება დღე-ღამეში 400 000 ბარელამდე შემცირდა.

ლიბიის საკითხს ემატება ირანში არსებული დაძაბული ვითარება, რომლის შემდგომი გამწვავების პირობებში, ნავთობის ფასმა შესაძლოა ყველა რეკორდი მოხსნას.

ევროკავშირი ირანულ ნავთობზე ემბარგოს გამოაცხადებს. როგორც ცნობილია, აშშ და ევროპის წამყვანი ქვეყნები (საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია) კატეგორიულად ითხოვენ ირანის ნავთობის ექსპორტზე ემბარგოს დაწესებას. თავის მხრივ კი, ირანი იმუქრება, რომ ემბარგოს დაწესების შემთხვევაში ორმუხის სრუტეს გადაკეტავს. ორმუხის სრუტით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ნავთობის მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტი ხორციელდება. ორმუხის სრუტის დახურვის შემთხვევაში ვაშინგტონი ირანს ძალის გამოყენებით ემუქრება. დღეისათვის ირანული ნავთობის ექსპორტი დღე-ღამეში 2,6 მლნ ბარელს შეადგენს. ირანიდან ნავთობის იმპორტზე მნიშვნელოვნად არიან ასევე დამოკიდებული თურქეთი, ინდოეთი, სამხრეთ კორეა, იაპონია.

გარდა ამისა, ევროპაში ირანული ნავთობის ძირითადი მომხმარებელი ქვეყნები, როგორებიც არიან საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, პოლანდია, ითხოვენ, რომ ირანული ნავთობის ექსპორტზე ემბარგოს მოქმედება არ იყოს მყისიერი და აკარძალავა ეტაპობრივად განხორციელდეს. ნავთობის ფასების ზრდის პარალელურად, რუსული გაზის ღირებულება ევროპისთვის მიმდინარე ნელს დაახლოებით 15%-ით გაიზარდა. ევროპისთვის რუსული გაზის საფასური 1 000 კუბ.მეტრზე 352 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

2009 წელს რუსული გაზის საშუალო ფასი 306 აშშ დოლარით იყო განსაზღვრული. ამასთან, რუსეთი ეტაპობრივად გეგმავს გაზარდოს გაზის მოპოვების მოცულობა და 2020 წელს, 2010 წლის მონაცემთან შედარებით, მოპოვებული გაზის მოცულობა 28%-ით 650 მლრდ კუბურ მეტრამდე უნდა გაიზარდოს.

გათვლების მიხედვით, თუ 1 ბარელი ნავთობის ფასი კიდევ 10 დოლარით გაიზრდება, მაშინ 1 გალონი ბენზინის ფასი მოიმატებს 0,25 დოლარით, რაც გამოიწვევს ამერიკის შეერთებული შტატებისა წარმოების 0,4 %-იან საშუალო წლიურ ვარდნას და შესაბამისად, 270 ათასი სა-მუშაო ადგილის დაკარგვას.

პაპა არუშიძე

ევკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

Large advertisement for 'არეოპატიკა' (Arthropatia) featuring a portrait of a man and text describing the product's benefits for joint health. The text includes 'მეცნიერების უმჯობესი ნაშრომი' and 'არეოპატიკა'.



არის დაწერილი. მხედველობაში გვაქვს რთული პრობლემების მარტივად აღიარება...

მეცნიერისათვის კიდევ ერთ საგულისხმო მაგალითს ვეცნობით პროფ. მიხეილ მახარაძის ნაშრომებში და კერძოდ, „არეოპატიტიკაში“...

რის შენიშვნით „მთლიანად შეე-საბამება პეტრინს და მისი ფი-ლოსოფიური საქმის პოეტური ფორმით ასახვა რუსთაველის მიერ“...

ჩანს პროფ. მიხეილ მახარაძის ნაშრომის V თავის დასკვნით ნაწილში, სადაც რუსთაველის მსოფლმხედველობაზე არეოპატიტიკის გავლენის შესახებ ქართველი ავტორების (მ.წუცუბიძის, შ.ხალვაშის, ვ.ნოზაძის, რ. თვარაძის, ზ.კვიციანიძის, ე.ხინთიბიძის, გ.თევზაძის) თვალსაზრისებს აჯამებს და ამბობს: ზოგიერთი აზრი მისაღებია, ზოგიერთი კი საკამათო. ასე მაგალითად:

1. შალვა წუცუბიძის თვალსაზრისი ნეოპლატონიზმში, არეოპატიტიკასა და რუსთაველის შემოქმედებაში პანთეისტური მატერიალიზმის არსებობის შესახებ საფუძველს მოკლებულია. ამ მიმართებით, შედარებით წინგადადგმულ ნაბიჯად გვესახება შ.ხიდაშელის მხრიდან საკითხის დაკონკრეტება და პანთეიზმზე, საუბარი როგორც ნეოპლატონიზმში, ისე რუსთაველთან, მაგრამ არც ეს თვალსაზრისია ბოლომდე საფუძვლიანი, რადგანაც რუსთაველის ეპოქაში, მით უმეტეს, ნეოპლატონიზმისა და არეოპატიტიკული თხზულებების შექმნის დროს, პანთეიზმი არ ყოფილა ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა“ (388).

2. რ. თვარაძე „არეოპატიტიკას“ და „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე ამახვილებს ყურადღებას, ხედავს და ერთგვარად გვერდს უვლის წმინდა ფილოსოფიურ (ნეოპლატონურ) იდეებს, რომელთა არსებობა „არეოპატიტიკასა“ და „ვეფხისტყაოსანში“ კვლევით დადგინდა მონაცემებით, ეჭვგარეშეა“ (388).

წილების მიერ მეცნიერული ნაშრომი აზრის მოძრაობას, აზროვნების დინამიკას უნდა უწყობდეს ხელს, ანუ ანალიტიკურ ცოდნას უნდა იძლეოდეს და არა მოვლენების მოსაწყენ ალერას.

პროფ. მიხეილ მახარაძის „არეოპატიტიკა“ და მისი სხვა შრომებიც დაზღვეულია მოვლენების მოსაწყენი ალერისაგან და სწორედ იმითაა საყურადღებო, რომ იძლევა ცოდნას, ინვესს ინტერესის გაძლიერებას ნაშრომში დასმული პრობლემების მიმართ.

ამასთან გვაქვს გასარკვევით ერთი საკითხი, რომელიც პეტრე იბერთან არის დაკავშირებული და სწორედ ამ ნაშრომში ველოდით მის გადაწყვეტას.

ნაშრომის პირველი თავი მთავრდება დასკვნით: „ამ ეტაპზე არეოპატიტიკული თხზულებების ნამდვილი ავტორის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, თუმცა არსებულ ჰიპოთეზებს შორის ყველაზე საფუძვლიანად ნუცუბიძე-პონიგმანის თეორია გამოიყურება“ (52). აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: 1) რა ვერ ამოხსნეს ნუცუბიძე და პონიგმანმა არეოპატიტიკული თხზულებების ნამდვილი ავტორის საბოლოო დასადგენად? 2) მსჯელობაში როდის შევცვლით ფსევდო-დიონისეს პეტრე იბერთ? პროფ. მიხეილ მახარაძის „არეოპატიტიკა“ შორდება ფილოსოფიის ისტორიის ფარგლებს და ბევრი პრობლემა განხილულია ფილოსოფიური თეორიის დონეზე.

იური ზივილი, პროფესორი

ნეოპლატონურ ფილოსოფიაში, ისე როგორც პლატონთან, ძირითად ამოცანას შეადგენდა უსასრულო და სასრულის, დაუბოლოებელსა და დაბოლოებულს, ანუ პირველმიზეზსა (ლმერთსა) და სამყაროს შორის მიმართების გარკვევა. ეს ამოცანა პლატონის ფილოსოფიაში გადაუჭრელი დარჩა. სამაგიეროდ, ნეოპლატონიზმში გარკვეული აზრით მოხერხდა ამ სიძნელის მოგვარება, კერძოდ, ნეოპლატონიკოსების მიერ ემანციის (ღვთაებრივი სანყისიდან სამყაროს მთელი მრავალფეროვნების გადმოშლა) პრინციპის შემოტანამ პირველმიზეზისა (ლმერთისა) და სამყაროს მთლიანობის აღიარების საფუძველი მოამზადა. ეს თვალსაზრისი (ნეოპლატონიზმი) საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და საბოლოოდ ჯორდანო ბრუნოსა და ნიკოლოზ კუზანელის პანთეიზმით დასრულდა“.

მეცნიერისათვის კიდევ ერთ საგულისხმო მაგალითს ვეცნობით პროფ. მიხეილ მახარაძის ნაშრომებში და კერძოდ, „არეოპატიტიკაში“. ეს არის ფიზიკური, კრიტიკული დამოკიდებულება ავტორისათვის სანდო და სათაყვანებელი ავტორიტეტების მიმართ. პროფ. მიხ. მახარაძე უდიდეს პატივს მიაგებს აკად. შალვა წუცუბიძის ღვაწლს და მეცნიერულ შეხედულებებს, მაგრამ ამასთან ის არ ერიდება კრიტიკული შენიშვნების გამოთქმასაც როცა ეს, მეცნიერული თვალსაზრისით, აუცილებელია და წაადგება თვით მეცნიერებას. მხედველობაში გვაქვს აკად. შალვა წუცუბიძის მოსაზრება არეოპატიტიკის ნამდვილი ავტორის ვინაობისა და მისი სახელის ორთოგრაფიასთან დაკავშირებით. პროფ. მიხეილ მახარაძე წერს: აკად. შალვა წუცუბიძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პეტრინთან არეოპატიტიკის ავტორი მოხსენიებულია დიონისეს სახელით, ჩახრუხაძესთან დიონისოთი, ხოლო რუსთაველთან ამ სახელის ქართული ფორმით-დიონოსით. რაც მთავარია, - დასძენს პროფ. მიხ. მახარაძე, - ნუცუბიძის აზრით, არც პეტრინონი და არც ჩახრუხაძე ამ სახელს არ უკავშირებენ არეოპატიტიკის სისტემის შეხედულებებს და ამ შეხედულებებს სხვა პიროვნებას მიანერვენ. რუსთაველი კი, პირიქით, - სწორედ იმ „დიონოსზე“ ლაპარაკობს, რომელმაც პროკლესთან დაკავშირებული იდეები გამოთქვა, რაც ავტორის შენიშვნით „მთლიანად შეე-საბამება პეტრინს და მისი ფი-ლოსოფიური საქმის პოეტური ფორმით ასახვა რუსთაველის მიერ“... ამას მოჰყვება სწორედ ის კრიტიკული შენიშვნა სანდო ავტორის მიმართ, რაზეც ზემოთ აღვნიშნავდით. პროფ. მიხეილ მახარაძე ამასთან დაკავშირებით წერს: „აქ ცხადად არ ჩანს, თუ რისი თქმა უნდა შ. წუცუბიძის, თუმცა მისი მთავარი აზრი გასაგებია: სიკეთისა და ბოროტების მიმართების თვალსაზრისი ნეოპლატონიზმიდან გადადის ქრისტიანულ ნეოპლატონიზმში“ (365).

ანალოგიურ დამოკიდებულებას გვიდასტურებს პროფ. მიხ. მახარაძე აკად. შალვა ხიდაშელის ნააზრევის მიმართ და წერს: შ.ხიდაშელი აღნიშნული ცნებების („მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“) არსის გასარკვევად მიუღებლად და არასწორად მიიჩნევს ისეთ აზრს, რომელიც გვხვდება სხვადასხვა მკვლევართან, კერძოდ: ღმერთი როგორც ყველაფრის საფუძველი და შემქმნელი მზა (ნათელი არეოპატიტიკაში), ხოლო როგორც შემუქმნებელი, მიუწვდომელი-ლაშა (ბნელი-არეოპატიტიკაში) - ამის შემდეგ პროფ. მიხ. მახარაძე აკეთებს შენიშვნას: „თუმცა აქ არის მცირე შეუსაბამობა ხიდაშელის მოსაზრებებში. იგი ყოველგვარი შენიშვნის გარეშე იწინებს „მზიანი ღამის“ შინაარსის ამგვარად გაგებულ თეიმურაზ ბაგრატიონის მსგავს თვალსაზრისს“ (373).

მეცნიერული აზრის განვითარების სრული დინამიკა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბრძანება N01- 09/130. 13 მარტი, 2012 წ. ქ. ბათუმი. 2011-12 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 72-78-ე, 95-101-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული „რსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მე-3 მუხლის, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 ივნისის №77 დადგენილების, „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილების, რსუ-ს დეკანატებისა და საფინანსო-ეკონომიკური მონაცემების საფუძველზე.

„აჭარის ლივის პრეზალი და მოკლე დაპირებები“ ქართულად

გამომცემლობა „ორიენტმა“ დასტავა წიგნი „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დაპირებები“ (თბ. 2011), ოსმალური ტექსტები, ქართული თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ. წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ შენგელია. პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (№27-09) ფარგლებში. გაკეთდა დიდი საქმე ქართული ისტორიოგრაფიისა და ზოგად-და, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის...

აღვნიშნავთ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს შესახებ თურქეთის რესპუბლიკის სიძველეთსაცავებში დაცული ოსმალური დოკუმენტები. მკითხველს შეეძლება, რომ ოსმალური დოკუმენტების ქართულად თარგმნის, გამოკვლევისა და გამოცემის ტრადიციას საფუძველი XX საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა. მხედველობაში გვაქვს აკად. სერგი ჯიქიას ფუნდამენტური ნაშრომი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ოსმალური ტექსტები, ქართული თარგმანი და გამოკვლევა 3 ტომად. დიდი შრომა და თვალისჩინი შეჯახებით, რომელსაც ბატონმა სერგიმ, სანაცვლოდ შექმნა ბრწყინვალე ნაშრომი, რომელიც არასდროს დაკარგავს ფასს... შემდეგ მის კვალს გაჰყვა ქართველ თურქოლოგთა თაობები, მათ შორის ბატონი ნოდარ შენგელია და მისი მოწაფეები, ან უკვე წარმატებული მკვლევრები, ზაზა შაშიკაძე და მირიან მახარაძე, სხვებიც. ერთ-ერთი ოსმალური დოკუმენტების გაცნობის შესახებ მკვლევარმა, მეორე - გაცნობა: საქართველოს ისტორიის დამწერლობის შესწავლა და ძველი ხელნაწერების კითხვაში განაწილა. ეს კი უარყოფად რთული საქმეა, დიდ შრომასა და მოთმინებას მოითხოვს. იმდენად დიდი იყო სურვილი საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროების შესწავლისა, რომ ახალგაზრდები არ შეუშინდნენ სიძნელებებს და „დაადგინნ ოსმალეთის“ გზას: მათ სამეცნიერო ნრობა ჯერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღეს, შემდეგ სტამბოლისა და თურქეთის რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო ცენტრებში... შედეგად მოემზადნენ ოსმალური ხელნაწერების წასაკითხად. დღეს ვსაუბრობთ მათ მიერ გამოცემულ წიგნზე, რომელიც ძვირფასი და სანდო წყაროა აჭარისა და, საერთოდ, საქართველოს ისტორიისათვის. მეტი სანდობისათვის შრომას დაურთეს შესწავლის დოკუმენტების ფოტოასლები, რითაც მკითხველს მისცეს შესაძლებლობა, თავად შეამოწმოს თარგმანი, მეორეს მხრივ, წიგნის ოსმალურის ქრესტომათიის ფუნქციაც შესძინეს.

ოსმალურს სხვა მრავალთან ერთად ერთი სიძნელეც ახლავს: იგი კონსონანტური დამწერლობაა, რაც გულისხმობს სისტემაში მხოლოდ თანხმოვანთათვის მნიშვნის შექმნას, ხმოვანთათვის — არა. მკითხველმა თავად უნდა გაახმოვანოს სიტყვა. ამ სიძნელის დაძლევა (სიტყვის გახმოვანება) დიდ შრომას, მრავალი ნიუანსის გათვალისწინებას მოითხოვს. საქმეს ისიც ართულებს, რომ დოკუმენტს ქმნიდნენ ქართულის არმცოდნე ოსმალ მოხელეები, რომელნიც ხშირად ვერ აღიქვამდნენ მათთვის უცხო ქართულ საკუთარ სახელებს (ადამიანისა თუ გეოგრაფიულს) და წერდნენ ისე, როგორც ესმოდათ. ამის მიზეზია, მაგალითად, რომ ნაკარახევი „ცხროქას“ ნაცვლად „სიხრუჯი“ ჩაუწერიათ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ გამომცემელს დიდი

ჯაფა დაადგა, ვიდრე „სიხრუჯიდან“ „ცხროქამდე“ მივიდოდა. ხაზგასასმელია კიდევ ერთი გარემოება: „ოსმალეთის იმპერიაში, როგორც ფისკალური ხასიათის ყველა დოკუმენტი, დავთრებიც, სიაკათის ურთულესი ხელით ინერგებოდა... ეს დამწერლობა გამოიყენებოდა ოსმალურ საფინანსო უწყებებში და მას მხოლოდ სპეციალისტები კითხოვდნენ. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ საფინანსო საქმეებში გარეშე პირს ვერ ჩაეხედა“ (გვ.6).

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ მკვლევრებმა წარმატებით დაძლიეს სირთულეები ქართველოლოგიაში მიმოქცევაში შემოიტანეს ახალი მასალები. წიგნის გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, თუ როგორი გულმოდგინებით აღწერდნენ ოსმალური დავთრები ქვეყნებს და უწესებდნენ გადასახადებს. ამიტომაც მიჩნეულია, რომ „ფინანსური ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით შედგენილი დავთრები ოსმალეთის იმპერიაში ყველაზე მონერსიგებულ, სწორ და ზუსტ საკონტროლო საბუთებს წარმოადგენდნენ“ (ი. უზუნჩარშოლი). გამომდინარე აქედან, უნდა ვირწმუნოთ, რომ ასეთ „დავთრებში“ დაცული ცნობები სანდო ისტორიული წყაროა.

წიგნში, როგორც სათაურიდანაც ჩანს, შეტანილია ორი ნაწილი: ზემო აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები.

„ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“ მიუხედავად იმისა, რომ ზემო აჭარისად იწოდება, მთლიანად მოიცავს „... აჭარისწყლის ბაყინის თავისი ბატარა ხეობებით, რომელიც ორ - ზემო და ქვემო აჭარის ნაპიჯებად არის დაყოფილი“ (გვ.9). „დავთარი“ დათარიღებული არ არის, მაგრამ მასზე დასმული სულთან სელიმ მეორის (1566-1574 წწ.) თურქულ მიუთითებს, რომ იგი მისი სულთანობის ეპოქის დოკუმენტია. „აჭარის ლივის მოკლე დავთარი“ ასევე უთარიღოა. იგი შედგენილი უნდა იყოს „ვრცელ დავთარზე“ გვიან, სულთან მურად მეხამის (1574-1595 წწ) მოღვაწეობის ხანაში.

ავტორთა შენიშვნით: „ზემო აჭარის ლივის ვრცელ დავთარში“ დაწვრილებითაა ჩამოთვლილი თითოეული სოფლის მოსახლეობის სია, სოფლის მურენობის ცალკეული დარგები, მასზე განხორციელებული გადასახადები და მათი ოდენობა. „აჭარის მოკლე დავთარში“ ჩამოთვლილია მხოლოდ სოფლების სია და კომლათა რაოდენობა, განხორციელებული გადასახადების საერთო ოდენობის აღნიშვნით...“ (გვ.11). „დავთრები“ ავსებენ ერთმანეთს: „მოკლე დავთარს“ ზოგჯერ დაუტევს ისეთი ინფორმაცია, რაც „ვრცელ დავთარში“ არ გვხვდება.

ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივია, კითხვები: მაინც რით არის მნიშვნელოვანი და საინტერესო „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“? რით არის მნიშვნელოვანი გამოცემული „დავთრები“ დაიბადოს ქართველთმცოდნეობისათვის? XV საუკუნის ისტორიის რაც ცნობები დაუცავთ ოსმალ მოხელეების ჩანაწერებს? ქვემოთ შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი ამ კითხვებს და მკითხველს შევთავაზოთ ჩვენეული შეფასება გამოცემული წყაროებისა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ოსმალური „დავთრების“ ამოკითხვა-გაშიფრვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. გამომდინარე აქედან, მასში ნახსენები გეოგრაფიული სახელები სწორად რომ ამოვიკითხოთ, მკვლევრებს გამოწვევლივთ შეუსწავლიათ აჭარის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის შესახებ არსებული შრომები და მათი გათვალისწინებით ნაუკითხავთ ხელნაწერები. მიუხედავად ცდისა, ზოგიერთი საგეოგრაფიო

სახელი გაუმიფრავი დარჩენილია და მათ გასწვრივ კითხვის ნიშანი(?) დაუსვამთ, რაც ოსმალური დოკუმენტების გამოცემის მიღებული წესია. „დავთრებიდან“ ჩანს, რომ აღწერისას ბევრი სოფელი დაცლილია მოსახლეობისაგან. მიზეზის ძიება, ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს. მკვლევრები მოიყვანენ ერთ ოსმალურ დოკუმენტს („მნიშვნელოვანი საკითხების დავთარი“ 22), რომლითაც სულთანი უბრძანებს ლივანას, მაჭახლისა და ფერთეჟრესის სანჯაყბეგებს, რომ ილონო ყველაფერი გაქცეული მოსახლეობის უკან დასაბრუნებლად“ (გვ.20-21). თუ რამდენად შეასრულეს სანჯაყბეგებმა სულთნის ბრძანება, არ ჩანს.

დავინწყით იმით, რომ საინტერესოა გეოგრაფიულ სახელთა ჩანერის ოსმალური აღმწერელთა სტილი. ზოგიერთ სოფელზე მიუწერიან, თუ რომელი დასახლება უფრო პუნქტის ახლოს მდებარეობს: „სოფელი იორამის ციხის რაბათი, მეორე სახელი შუბანი (შუა უბანი — ავტ.) ახლოსაა ვარდუზის მაჰალესთან“ (გვ.54); „სოფელი ჭა ახლოსაა მელიქმინდისთან“ (გვ.55); „სოფელი სხალთა ახლოსაა ფაჩას მაჰალესთან“ (გვ. 56); „მინა აბრამ მღვდლისა ახლოსაა ჭალასთან და ნისქილთან“ (გვ.57)... ანალოგიური მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება. ჩანს, ამა თუ იმ დასახლებაზე პუნქტის სხვადასხვა სიახლოვის აღნიშვნა მეტი სიზუსტისათვის ხდებოდა.

საყურადღებოა კიდევ ერთი რამ: ზოგიერთ ტოპონიმს ისტორიულად უცვლია ფონეტიკური სახე. მაგალითისთვის შეიძლება დავასახლოთ კარაპეტა, —სოფელი შუახევის რაიონში. დავთარში აღნიშნულია ქარაფთა. „ნათქვამია, რომ იგი ახლოს არის ტბეთთან“ (გვ.17). კარაპეტა გარეგნულად მოგვაგონებს სომხურ საკუთარ სახელს. ლეგენდაც შექმნილია აღნიშნული საგეოგრაფიო სახელის შესახებ, რასაც ეყრდნობა ზ. ჭიჭინაძე და წერს: „ქველად აქ სომხები იდგნენ და მათ თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ. ოსმალთა პერიოდში ზოგ მათგანს რჯული შეუცვლია, ზოგიც გაქცეულა“. ჩვენი ავტორები ავითარებენ სწორ მოსაზრებას, რომ „კარაპეტას არაფერი აქვს საერთო სომხურთან, რომ იგი ქართული სახელია „ქარაფთა“. ბარემ ვიტყვი, რომ კარაპეტას ქარაფთა-სთან დაკავშირება პირველად აზ. ახვლედიანმა სცადა. ოსმალურმა დოკუმენტმა დაადასტურა მისი ვარაუდი.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ დაკვირვებას: „დავთარში“ მოხსენებულია ზემო კურმა. მკვლევრები მას უკავშირებენ გურძაულს. მართლაც აწინდელი გურძაული“ს ზემო ნანაილს ჰქვია კურმა. გურძაული მსოფლიო ნანაილი - ული(ა) თურქულად ნიშნავს „ზემოს“. სხვათაშორის „დავთარში“ გვხვდება კურმა სუფლა-ც კურმა-ს გვერდით (გვ.15). ჩანს, სოფელი იყოფოდა ზემო (კურმა ული) და ქვემო (კურმა სუფლა) უბნებად, მაჰალეებად. დღეს გვაქვს გურძაული (კურძაული). კმ მოსაძველოებით). საძიებელია თვით კურმა-ს მნიშვნელობა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ასევე ტოპონიმმა მაქეთა, რომელიც ახლოსაა თხილვანასთან. რას ნიშნავს მაქეთა? ხომ არ უნდა იყოს იგი მიღებული მოგვთაგან? (მაქეთა-ს ავტორი ვფიქრობთ, ასეთ დაშვებას არაფერი ეწინააღმდეგება. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოგვთა სოფელია მეთურქულე შავეთში.

„დავთარში“ ზემო აჭარაში, დიოკონისთან ახლოს დასტურდება უბანი გუდისხევი. ამ ტოპონიმმა ყურადღება იმიტომაც მიიქცია, რომ ანალოგიური ტოპონიმი გვხვდება ტაოშიც — გუდასხევი. ძველი ქართული წყაროებიდან, წარწერებიდან, ცნობილია ადამიანის საკუთარი სახელი გუდა: „ესე ჯური ქრისტიანი მე,

კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯურისასა...“ (წყისის წარწერა 616-619 წწ). ჩანს, გუდასხევი უკავშირდება ქალის საკუთარ სახელს გუდა. იგივე ფუძე ჩანს გავრეშვი: გუდავა, გუდავე, გუდავავე... ყურადღება მიიქცია გეოგრაფიულმა სახელმა ქორეთი. მასში გამოიყოფა ქორ/ქორე ფუძე (//იორი) და -თ მრავლობითობის სუფიქსი. ქორ გვხვდება ძველ ქართულში და სამხრულ კალოთაგან შავშურსა და აჭარულში და აღნიშნავს სახლის ზედა სართულს (ძვ. ქართ. აჭარ.) და საბძელს (შავშური). ქორი დაცულია სვანურში (მნიშვნელობით სახლი, ოჯახი. ვ. თოფური, მ. ქალდანი) და მეგრულში (ორი მნიშვნელობით: სახლის ზედა სართული; ნაგებობა მალღობზე; 2. დიდი დასახლება, კრებული; სიმრავლე ხალხისა, კარსაკეტი, კორტა (გალავნისა) (ა. ქობაღია). ვფიქრობთ, მეგრულის ორივე მნიშვნელობა ერთმანეთს უკავშირდება. ტოპონიმი ქორეთი უკავშირდება სწორედ ქორის საერთოქართულ მნიშვნელობას, რაც საინტერესო ფაქტია.


სოფელი სანახენა ახლოსაა სალორეთის ციხესთან. მკვლევრები ასე მსჯელობენ: „ეს სახელწოდება (სანახენა) სავარაუდოა. ამჟამად ამ სახელწოდების სოფელი არ არსებობს. ჩვენ მივაგენით მასთან მიახლოებულ სახელს -სანახელს... დასაშვებად მივიჩნევთ, რომ მას შეიძლება რამე სახის კავშირი ჰქონოდა „დავთარში“ დადასტურებულ სახელთან“ (გვ.19). ჩვენ დავამატებთ, რომ სანახენას სანახელი-საგან მიღება სასველით დასაშვებია: ნ-ნ-ლ დისიმილაციით.

ყურადღებას იქცევს ასევე სახელური ფორმები: ინაშარია (შდრ. ინაშარიძე), სამაური (შდრ. სამანიძე), რადაშუდი (რადაშური?), კანტარელი... მოყვანილი მასალა, ნათელი დასტურია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი წყაროა „დავთარში“ სამხრეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ.

„დავთარში“ დაინტერესებული მკითხველი ბევრ სხვა საინტერესო ცნობას მოიპოვებს. პირველ რიგში ყურადღებას გავამახვილებთ ადამიანის საკუთარ სახელებზე (გვარსახელებს დავთრები არ იცნობს, არც ოსმალური ტრადიცია. ამიტომაც დოკუმენტებში ნახსენებია მხოლოდ კომლის უფროსის სახელი და მამის სახელი: ოსეფა ძე შაქარასი; ფირანი ძე ლევანასი; ნონია ძე ამროსისა...): მახარებელი, ანისიმი (ონისიმი?), გოგინა, ელისი, აბარნუდი, სურა, სევერა (შდრ. სევერა/სევერიძე), ზალირა (შდრ. სალირა), ვარძელი, გუბაული, საბანა (შდრ. საბანისძე), სახუტა, ადუმი(?), ნოვრუზა (შდრ. ნევირზო), დარსია, ჯილია, ადამირი, მასხუმი, სურზი-ლი, ჯანიბევი, ჯაჯანა (შდრ. ჯაჯანიძე), ბასილა, ზაქარა, შარვანიზი, გელმაზა, მასირა, ურქემუზი, იმრე, ადონა, დავბანაზა, ბაბუნა, დავნია, გიჯა... გვხვდება რამდენიმე მუსულმანური სახელი: მეჰმედი, მურადი, ალია...

„დავთარში“ მხოლოდ მაკაცის სახელებია ნახსენები, ქალის სახელებს დოკუმენტები არ იცნობს.

რამდენიმე მამაკაცის სახელს მამის სახელის ნაცვლად ახლავს ზედწოდება(?!): გოგინა ფერუნი, ადარნას ფერუნი, მეჰმედი ფირული, ფირუნი გიორგი, საგინა ფერული, ლულუკა ბერუკი, მეჰმედი ბერული, დავბანაზა ბერუკი, ვარზელა ფირუზი, ბაბუნა ფერული, ბასილა ფერული, გიორგი ფირუნი, მასარა ფირუნი... საძიებელია ფერუნი, ფირული, ბერუკი, ბერული, ფირუზი ლექსებების მნიშვნელობა.



აჭარის ლივის პრეზალი და მოკლე დაპირებები

ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ ფაქტს: „დავთარის“ შედგენისას აჭარისწყლის ხეობაში მუდგანახობა კარგად განვითარებული ჩანს (ფაქტი გამოდგება დამატებით მასალად იმის სამტკიცებლად, რომ აჭარა ისტორიულად ვაზის სამშობლოა). დოკუმენტებში აღწერილია და გადასახადები აქვს შეწერილი ვანებს: სხალთის ჭალა — 7 ნაკვეთი; სოფელი ხულა — 3 ნაკვეთი; სოფელი კურმა — 1 ნაკვეთი; სოფელი დანდალი 1 ნაკვეთი.

დასახელებულია ვენახის ის ნაკვეთები, რომელიც ცალკე ერთეულადაა აღრიცხული და გადასახადიც ცალკე აქვს შეწერილი, თორემ ყოველ სოფელს ყურძნის წვეწვ აქვს „შირას“ გადასახადი („შირა“ სპარსულია და ყურძნის წვეწვს ნიშნავს). მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ აჭარაში და, საერთოდ სამხრეთ საქართველოში, გავრცელებული ვაზის ჯიშები შეუსწავლია და ელოდება თავის მკვლევარს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნობა დაუტევს „დავთარს“, კერძოდ, იმ პერიოდის აჭარაში ჯერ კიდევ ძლიერია ქრისტიანული თემა. ამის დასტურია ქრიატიანთათვის სპეციალური გადასახადი „ისფენჯი“ — 25 ახჩა ოჯახზე. აღწერილი 534 კომლიდან ყველა იხილდა ამ გადასახადს, სულ 13350 ახჩის ოდენობით. „დავთარში“ არ ჩანს „ბენაქი“ ან „ჩიფთის“ გამოსაღები, რომელსაც იხიდიწენ მუსლიმანი გლეხები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დავთარის“ შედგენის ხანაში აჭარა მთლიანად ქრისტიანი იყო, და ეს არცაა გასაკვირი. აღწერა ხომ კუთხის დაპყრობის პირველივე წლებში მოხდა.

დასკვნის მაგიერ: „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ საყურადღებო წიგნია ქართული ისტორიოგრაფიაში. „დავთრებით“ ახალი, მნიშვნელოვანი მასალა შემოგვაძლევს სამეცნიერო მიმოქცევაში. მასში საქართველოს ცნობებს ნახავს სამხრეთ საქართველოს ონომასტიკით, ისტორიული გეოგრაფიით, ეკონომიკით, რელიგიის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი. საყურადღებოა წიგნი ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მკვლევრებს წინ ძნელი, მაგრამ უარყოფად საინტერესო შემოქმედებითი მიება ელოდებათ, რამდენადაც თურქეთის სიძველეთსაცავებში არაერთი „დავთარი“ თუ სიგელ-გუჯარი ინახება, რომლებშიც საქართველოს წარსულის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული. სარეცენზიო წიგნი ოსმალური დოკუმენტების შესწავლისა და გამოცემის წარმატებული ცდაა. ქართველთმცოდნეობაში გაზის დაულოცავთ შრომას „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ და მის ავტორებს ვუსურვებთ ახალ წარმატებებს.

ამამია ფალავა

პროფესორი

მალხაზ ჩოხრაძე

ასოციირებული პროფესორი

14 თებერვალი 2012 წლისა



ნაწუქარი ზიჯი

პროფესორმა რამაზ სურმაან- იძემ სამეცნიერო ბიბლიოთეკას საწუქრად გადმოსცა მისი მორი- გი ნიგნი „ლუკა ასათიანი“. ნიგ- ნის პირველ ნაწილში წარმოდ- გენილია ასათიანების გვარის ისტორია, შესწავლილი და და- ზუსტებულია აჭარაში მცხოვრე- ბი ამ საგვარეულოს წესება.

ნაშრომის მეორე ნაწილი ბი- ოგრაფიული ხასიათისაა. ავტორ- ი სანიტერესოდ აღწერს ლუკა ასათიანის მიერ შრომითა და ბრძოლით განვლილ ცხოვრების წლებს ბაქოში, ერევანში, ქუთაისში, ბათუმში.

ნიგნში მკითხველი ასევე გაეცნობა XX საუკუნის ქალაქების ქუთაისის, ბათუმის ისტორიას. მასში დანერვილებითაა გადმოცე- მული ლუკა ასათიანის საქმიანი ურთიერთობები გაბრიელ ქო- ქოძესთან, ილიასთან, აკაკისთან, ნიკო ნიკოლაძესთან და ა.შ. ავ-

***** ბიბლიოთეკამ მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-



ლისის სახელმწიფო უნივერ- სიტეტის ფილოსოფიის მი- მართულების პროფესორთა სხდომაზე მონაწილე უნივერსიტეტის ფილოსოფიის შესავალი“. მასში ცალკეული თავების მიხედვით წარმოდგენილია გამოჩენილი ფილოსოფოსების მცირე ნაწარ- მოვები კომენტარებით, რაც უფრო მეტ ინტერესს ანიჭებს ნაშრომს. ნიგნში წარმოდგენილი ცალკეული თავების ავტორები არიან ფილოსოფოსები ირაკლი ბრაჭული, ანასტასია ზაქარაძე, ვალერიან რამიშვილი, დემურ ჯალალონია.

***** ჟურნალისტმა მარადი ანასაშვილმა ბიბლიოთეკას საწუქრად გადმოსცა მისი ნაშ- რომი „აჭარის ხევისბერი“. ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა ასახულია პროფე- სორების აბელ სურგულაძის, ხარიტონ ახვლედიანის, თეიმურაზ კომახიძის და სხვათა ნაშ- რომებში. ჟურნალისტ მარადი ანასაშვილის ნიგნში საარქივო

და მემორიული ხასიათის ლიტ- ერატიურის საფუძველზე წარმო- ჩენილია აბაშიძეების გვარის ისტორია, მათი დამსახურება ერის წინაშე. ნაშრომის წი- ნაქმში ვკითხულობთ: ჰაი- დარ აბაშიძის წერილები არის ნიმუში და დარბაისლური, პატი- ოსანი და ჯენტლმენური პო- ლემიკისა მონიხაალმდევგესთან, როცა ბრძოლის საშუალები- დან გამოიციხულია ეროვნული გონებაზეზღუდულობისა და სარწმუნოებრივი ფანატიზ- მის თანმხლები იაფფასიანი დემაგოგია, სხვათა ღირსების შეურაცხყოფა. ნაშრომში შთ- ამბეჭდავდა ალწერილი ღირ- სეული მამულიშვილის მიერ საქართველოს ერთიანობისთვის შრომით, ბრძოლით, სი- ტყვიითა და საქმით განვლილი ცხოვრების წლები. გიორგი ლეონიძე ჰაიდარ აბაშიძის შეს- ახებ წერდა, რომ მისი კალა- მი სააკაძის ხმალივით ჭრიდა აჭარაში და ამარცხებდა საქა-




რთველოს მოძულეთ, იგი მოხუ- ცისთვის მისაბაძი და ახალგაზ- რდებისთვის სამაგალითო იყო. ლევან გოთუა მას უწოდებდა

ეროვნული მთლიანობის ხევის- ბერს, ჩვენი ხალხის სამხრეთელ ჭირისუფალს, ღირსეულ წი- ნაპართა სულიერ მემკვიდრეს.

***** ჩვენი უნივერსიტეტის კურს- დამთავრებულმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის



ასისტენტ პროფესორმა ვალე- რიან რამიშვილმა სამეცნიერო ბიბლიოთეკას საწუქრად გად- მოსცა პროფესორ ევგენი ბარა- თაშვილისა და დოქტორანტ დავით ბაიდოშვილთან ერ- თობლივი შრომა „საინვესტი- ციო მენეჯმენტი საქართველოს სამთო ტურიზმის განვითარე- ბაში“. მასში განხილულია ის- ეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც ტურიზმის ინდუს- ტრიის ინვესტიციებით მართ- ვის ასპექტები, ინვესტიციური საქმიანობის თავისებურებები საქართველოს სამთო ტურიზმის სფეროში, საქართველოს სამთო ტურიზმის განვითარების თა- ნამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექ- ტიული მიმართულებები, სამ- თო ტურიზმი ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმები და ა.შ. ნაშრომში წარმოდგენილია მდიდარი სტატისტიკური მა- სალა.



ტორს ძირითად წყაროდ გამო- იყენებული აქვს საარქივო დო- კუმენტური მასალა, ასევე მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედის პერი- ოდული პრესა და მემორიული ხასიათის ლიტერატურა. ბატონი რამაზი ღირსეულად წარმოაჩინა აჭარაში მცხოვრები მამულიშე- ვილების ღვაწლსა და ამაგს.

გაზაფხულის მახვილი




ღვივებო ქალბატონებო! გი- ლოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, უღელ სიხარულს, სი- ყვარულსა და სილამაზეს. ამ წერ- ილით მინდა შეგახსენოთ, თუ რო- გორ წარმოიშვა ეს დღესასწაული და საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს 8 მარტს ჩვენს ცხოვრებაში. ბიბლიიდან ცნობილია, რომ ამქვეყნად პირველად გაჩნდა მამაკა- ცი. ასევე ისიცაა ცნობილი, რომ ადამი თავს მარტო გრძნობდა, სა- ნამ მისი ნევნისაგან ღმერთი არ წარმოშობდა პლანეტაზე პირველ ქალს—ევას. აბა, დავაკვირდეთ, თვით ბიბლიიდან ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვანია ქალი, როგორც ცხოვრებისათვის აზრის მიმცემი. ამასთანავე ისტორიიდან ვიც- ით, რომ პირველყოფილ წყო- ბილებაში გაბატონებული იყო მა- ტრიარქატის ანუ დედამთავრული

გვარი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოჯახში მთავარი ქალი იყო. ქალს, როგორც დედას, მე- გობარს, ცხოვრების თანამგზა- ვს, დიდი როლი აკისრია ჩვენს ცხოვრებაში. რთულ სიტუაციებში ხდება ხოლმე, როცა ქალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მდ- გომარეობას დადებითსკენ ცვლის. მაგალითად, ბიზანტიის იმპერიაში, ნიკას აჯანყების დროს იუსტინი- ანე დიდს მუღულის, თეოდორას გადაწყვეტილებამ შეანარჩუნებინა ტახტი. ქალი რომ კარგი მმართვე- ლია, ამაზე ბევრს აღარ ვილაპარა- ვებ. ჩვენს ქვეყანაში ხომ ქალი მეფეებიც არსებობდნენ. თან ისე მართავდნენ ქვეყანას, რომ მრავ- აღმა პოეტმა უძღვნა მათ ალტა- ცებული სტრიქონები. მათ შორის გავისხენებ ვაჟას სიტყვებს: „ქალო, ქართველთა სულსდგამე, ქალო, ქართველთა დედაო“. ახალი არსების მოვლენა ამქვეყნად მხოლოდ დედას შეუ- ძლია. ეს დიდ ტკივილთან ერთად უსაზღვრო სიხარულთანაა დაკა- ვშირებული. ჩვენს სამშობლოში ოდითგანვე იყო დედის და საერ- თოდ, ქალის კულტი. დედას უმ- ლეროდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ, დიდ პატივს სცემდნენ, ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ გაზაფ- ხულის დადგომასთან ერთად ქართველები ულამაზეს დღესას- ნაულს, დედის დღეს აღვნიშნავთ. 3 მარტს ყველანი ვცდილობთ, გული გავუხაროთ ადამიანს, ვინც

სიცოცხლე გვაჩუქა. მაგალითის- თვის, თუ როგორ აფასებენ ჩვენში დედას, მოვიყვან ერთი პოეტის სიტყვებს: იმ ქალს გაუმარჯოს დედას რომ ეძახიან, მარტო დედობა რად ღირს. მაშ, ქალს გაუმარჯოს, სულ სახელმილიანს, შვილებზე ზრუნვით დალ- ლილს. მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს სცემენ, მამაკაცების თვალ- ში ქალბატონები მაინც ნაზ არსე- ბებთან ასოცირდებიან. ბევრ მათ- განს დღესაც ქალი სამზარეულოში მოფუნდეს, შვილების აღზ- რდელად და ოჯახის საქმეებით დაკავებული დისახლისის ამქალ- ში წარმოუდგენია. ან სხვა შემთხ- ვევაში, ქალის შესაძლებლობებს სკეპტიკურად უყურებენ და მათ რეალურად ვერ აფასებენ. დღეს კი, 21—ე საუკუნეში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ქალი დასა- მამაკაცი კანონის წინაშე თანას- წორნი არიან. ქალბატონები ღირ- სეულ კონკურენციას უწევენ მა- მაკაცებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქალები ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებიან, რო- გორც კომპანიების სათავეში, ასევე მინისტრის, პრეზიდენტი- საც კი. საზოგადოებაში არსეუ- ლი სტერეოტიპები, თითქოს ქა- ლები პრობლემებს ადგილად ვერ წყვეტენ, სუსტი ნებისყოფის არიან და ა.შ. იმსრება.

ახლა უშუალოდ იმის შესახებ მოგიტყობთ, თუ როდის ჩაყვარა საფუძველი ქალთა საერთაშორისო დღეს. დღესაც არიან მარტოხელა დედები, ან უბრალოდ ქალები, რომლებიც ოჯახს მარტომარტო არჩენენ. თუ გავითვალისწინებთ ქალთა ფიზიკურ შესაძლებლო- ბებს, მათი შრომა ძალიან მიძინა. ასე ხდებოდა საუკუნეების მან- ძილზე. მიძინე სამუშაო პირობებს მწირი ხელფასებიც ემატებოდა და 1857 წლის 8 მარტს ნიუ- იორკში მუშა ქალები გაიფიც- ნენ. მომდევნო წლებში 8 მარტს უფრო მეტი და ფართომასშტა- ბიანი პროტესტები მოჰყვა. 1908 წელს 15 000 ქალბატონი გამოვი- და ნიუ—იორკის ქუჩებში მოკლე სამუშაო დღის, უკეთესი ანაზ- ლაურებისა და არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მოთხოვნით. 1910 წელს კომუნისტურმა რევოლუციამ პირველი ქალთა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც გავლენიანი გერმანული სოციალისტის კლარა ცეტკინის ინიციატივით დაფუძნდა ქალთა საერთაშორისო დღე, რო- მილიც დღესაც თითქმის მთელ მსოფლიოში აღინიშნება. ამ დღეს, რომელსაც განსაკუთრებულად ელიან, ქალბატონები ღებულობენ მილოცვებსა და საწუქრებს. მე კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ უმწვენიერეს დღესასწაულს. გისურვებთ, მუდამ ბედნიერად გეგრძნობთ თავი და თქვენი კუთ- ვნილი ადგილი დაგემკვიდრები- ნოთ ცხოვრებაში.



*** წლევანდელი ზამთარი ნამ- დვილად გვანებებდა ცივი და თოვლიანი ამინდებით, რა- საც ხელს უწყობდა შავი ზღვის
ჩრდილო-დასავლეთიდან საქა- რთველოს ტერიტორიაზე ცივი ჰაერის მასების ხშირი შემოჭრა, რის გამოც ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ტემპერატურა მნიშ- ვნელოვნად იკლებდა და აღინ- იშნებოდა ნალექი (უმეტესად თოვლის სახით) და ქარბუქი. პერიოდულად ქროდა დასავლე- თისა და აღმოსავლეთის მიმარ- თულების ქარი, რომლის სიჩ- ქარმაც ზოგან 30 მეტრ წამს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ტემპერატურული ფონი იყო დაბალი, წლევანდელი ზა- მთარი მაინც არ ყოფილა გა- სული წლებისგან გამორჩეული და როგორც ხშირად აცხადებენ, რეკორდულად ცივი. მაგალითად, 1948 წლის იანვარში არქტიკული ჰაერის მასების გავრცელების შედეგად ქვეყნის მასშტაბით ამინდი მკვეთრად გაუარესდა და ტემპერატურის მინიმუმი ბათუმ- ში -9, ქობულეთში -16, ხოლო თბილისში - 23 გრადუსს მიაღ- წია, წელს ბათუმში მხოლოდ - 3, თბილისში კი -10 გრადუსი დაფიქსირდა.
ზამთარი დაიწყო ნადრევად, რამაც გაგრძელება ჰპოვა გაზაფ- ხულზე. სწორედ ამიტომ, წლ- ევანდელ ზამთარს შესაძლებელია ეწოდოს მხოლოდ ხანკლევი. გასულ წელს კი საპირისპირო ვითარება აღინიშნებოდა. 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში ამინ- დის სტატისტიკური მონაცემებში შევიდა, როგორც 19-საუკუნის ბოლოდან და მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ყველაზე თბილი თვეები. ცალკეულ დღეებში ტემპერატურა 20, 22 გრადუსს აჭარბებდა.
ვინაიდან ამ დროისათ- ვის მთიან რაიონებში არის თოვლის დიდი მარაგი და ის ცალკეულ რაიონებში 2-3 მეტრს აჭარბებს, ამიტომ დათბობის გამო შესაძლებელია მდინარის ხეობებში წყალმოვარდნები და შეწყვეტილი პროცესების განვითარება. ეს ყველაფერი გაზაფხულისთვის აბსოლუტურ- რად დამახასიათებელია. მას არ ექნება ფართო მასშტაბი და ლოკალურად შემოიფარგლება, სამშობლოს შემთხვევაში შესა- ბამისი სამსახური გააფრთხი- ლებს მოსახლეობას.
რაც შეეხება გაზაფხულის დარჩენილ თვეებს, მარტის ბოლო დეკადიდან მთელი ქვეყ- ნის ტერიტორიაზე ამინდი გაუმ- ჯობსდება და აპრილ-მაისში ტემპერატურა მნიშვნელოვნად მოიმატებს, ნალექების რაოდე- ნობა კი დაიკლებს. პერიოდუ- ლად გაძლიერდება აღმოსავ- ლეთის ფიონური ქარები, რაც ტემპერატურის მომატებას შეუ- წყობს ხელს და გაზაფხულსაც შევიგრძნობთ.
კობა ფარტანაძე

რედაქცია:
იოსებ სანიძე
საბიურო:
ნესტან მუხარაძე



საკადასიო კოლეჯი:
იური ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ნანა ხაჩიძე
მარია მუხარაძე

გაზეთი „კოლიზაჟისტი“
27-59-10, 27-59-11
მის.: ქ. ბათუმი,
პოკრიპაძის 91